საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

# ESG საკითხების ანგარიშგებისა და გამჟღავნების შაბლონი ვერსია 2.0

| | |
|---|---|
| ფინანსური ინსტიტუტი: | **მიკრობანკი ემბისი** |
| თარიღი: | 31.12.2025 |

*აღნიშნული ანგარიშგების ფორმა №3 (ESG საკითხების ანგარიშგებისა და გამჟღავნების შაბლონი) შემუშავებულია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ინფორმაციის გამჟღავნების ხელშეწყობის მიზნით, კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.*

*კომერციული ბანკები და მიკრობანკები პილარ 3-ის ყოველწლიური ანგარიშის ფარგლებში ვალდებულნი არიან გაამჟღავნონ ESG საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული და გამოქვეყნებული ანგარიშგების ფორმის №3-ის უახლესი ვერსიის (ამჟამად ვერსია 2.0) გამოყენებით. აღნიშნული მოთხოვნის მიზანია ფინანსურ სექტორში რელევანტური, სასარგებლო, თანმიმდევრული და შედარებადი ESG ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა.*

*ანგარიშგების ფორმა №3 შემუშავებულია ESG საკითხების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წამყვან საერთაშორისო სტანდარტებსა და ჩარჩოებთან შესაბამისობაში, მათ შორის: ევროპის საბანკო უწყების (EBA, European Banking Authority) პილარ 3-ის ESG გამჟღავნების მოთხოვნებთან, ბაზელის კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური რისკების ნებაყოფლობითი გამჟღავნების ჩარჩოსთან, ფასს (IFRS) მდგრადობის გამჟღავნების S1 და S2 სტანდარტებთან, გლობალური ანგარიშგების ინიციატივასთან (GRI), მდგრადობის აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს (SASB) სტანდარტებთან, ბუნებასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების სამუშაო ჯგუფის (TNFD) რეკომენდაციებთან და ევროპის მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტებთან (ESRS). ფორმა ეფუძნება ორმაგი მატერიალურობის პრინციპს და ასახავს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას, რათა დაეხმაროს ფინანსურ სექტორს ESG საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებაში.*

*ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია მაქსიმალურად დაბალანსებული და გასაგები შეფასება წარმოადგინოს ESG საკითხებთან დაკავშირებულ შემდეგ თემატურ მიმართულებებზე: 1. მმართველობა; 2. სტრატეგია; 3. რისკების მართვა; 4.ა) მაჩვენებლები და მიზნები - საქმიანობის შეფასების ძირითადი მაჩვენებლები (KPI); 4.ბ) მაჩვენებლები და მიზნები - გარდამავლობის რისკები; 4.გ) მაჩვენებლები და მიზნები - ფიზიკური რისკები.*

*შევსებული ანგარიშგების ფორმა №3 უნდა წარედგინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს, ფინანსური ინსტიტუტის პილარ 3-ის ყოველწლიური ანგარიშის შემადგენელი ნაწილის ფორმით. ფინანსურ სექტორში გამჭვირვალობის, შედარებადობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობის მიზნით, ყველა წარდგენილი ფორმა ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდება.*

***ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები მოიცავს კლიმატთან, ბუნებასთან დაკავშირებულ და სხვა გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით ფაქტორებს. თუ ინსტიტუტის მიდგომა აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში განსხვავებულია, მაშინ ორგანიზაციამ თითოეული ტიპის რისკისა თუ შესაძლებლობისთვის ცალკეული და დეტალური ინფორმაციის გამჟღავნება უნდა მოახდინოს.***

*კითხვების შემთხვევაში გთხოვთ დაუკავშირდეთ: SustainableFinance@nbg.gov.ge*

# მმართველობა

ხარისხობრივი ინფორმაცია ფინანსური ინსტიტუტების იმ მმართველობითი პროცესების, კონტროლის მექანიზმებისა და პროცედურების შესახებ, რომლებიც გამოიყენება ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შეფასებისთვის, მართვისა და მონიტორინგისთვის.

*ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები მოიცავს კლიმატთან, ბუნებასთან დაკავშირებულ და სხვა გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით ფაქტორებს. თუ ინსტიტუტის მიდგომა აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში განსხვავებულია, მაშინ ორგანიზაციამ თითოეული ტიპის რისკისა თუ შესაძლებლობისთვის ცალკეული და დეტალური ინფორმაციის გამჟღავნება უნდა მოახდინოს.*

*გთხოვთ არ შეცვალოთ შაბლონის ფორმატი!*

| # | საკითხი | | პასუხი |
|---|---|---|---|
| 1.1 | სამეთვალყურეო საბჭოს ზედამხედველობა | გთხოვთ აღწეროთ თუ როგორ ახორციელებს ბანკის **სამეთვალყურეო საბჭო** ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების ზედამხედველობას. მათ შორის, მიუთითეთ:<br>• არის თუ არა ასახული და როგორ არის ასახული პასუხისმგებლობები ESG/მდგრადობასთან დაკავშირებულ რისკებსა და შესაძლებლობებზე **საბჭოს დებულებაში, მანდატში, სამუშაოს აღწერილობებსა** და სხვა შესაბამის მმართველობით დოკუმენტებში;<br>• როგორ და რა სიხშირით იღებს საბჭო და მასთან არსებული კომიტეტები ინფორმაციას **ESG/მდგრადობასთან დაკავშირებულ რისკებსა და შესაძლებლობებზე;**<br>• როგორ ითვალისწინებს საბჭო და მასთან არსებული კომიტეტები ESG/მდგრადობასთან დაკავშირებულ რისკებსა და შესაძლებლობებს ბანკის **სტრატეგიის, მსხვილ ტრანზაქციებზე გადაწყვეტილებებისა და რისკების მართვის პროცესების** ზედამხედველობისას, მათ შორის, როგორია ურთიერთგამომრიცხავ პრიორიტეტებს (trade-offs) შორის ბალანსის დაცვის მიდგომები;<br>• როგორ **ზედამხედველობს საბჭო ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული მიზნების დასახვას**, როგორ ზომავს ამ მიზნების მიღწევის პროგრესს და არის თუ არა (ასევე, როგორ) ESG-მიზნებთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასების მაჩვენებლები ასახული ანაზღაურების პოლიტიკაში (იხ. ასევე „ანაზღაურების" სექცია);<br>• როგორ უზრუნველყოფს საბჭო ESG/მდგრადობის რისკებსა და შესაძლებლობებთან დაკავშირებული სტრატეგიებისა და გადაწყვეტილებების ზედამხედველობისთვის **საჭირო უნარებისა და კომპეტენციის არსებობასა და განვითარებას**; | მიკრობანკი ემბისის სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების სტრატეგიულ ზედამხედველობას, რაც ინტეგრირებულია ბანკის კორპორაციული მართვისა და რისკების მართვის ჩარჩოში: სამეთვალყურეო საბჭოს დებულების შესაბამისად საბჭო განსაზღვრავს მიკრობანკის სტრატეგიას და უზრუნველყოფს მასში ESG საკითხების სათანადოდ ასახვას. ეს მოიცავს მიკრობანკის საქმიანობის არა მხოლოდ ფინანსური შედეგების, არამედ მისი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასებას, ESG რისკების იდენტიფიცირებასა და მათი შერბილების პროცესების ზედამხედველობას. რისკების კომიტეტის დებულების მიხედვით, კომიტეტი ახორციელებს პილარ 3-ის ანგარიშგების პროცესის მონიტორინგს, მათ შორის ESG საკითხების ანგარიშგებას და ამტკიცებს გამოსაქვეყნებელ წლიურ პილარ 3 ანგარიშგებას, რაც უზრუნველყოფს ESG რისკების გამჭვირვალე და რეგულატორულ მოთხოვნებთან შესაბამისს ასახვას. სამეთვალყურეო საბჭო ESG რისკებსა და შესაძლებლობებზე ინფორმაციას იღებს რისკების ანგარიშების, წლიური ანგარიშგებისა და პილარ 3-ის ანგარიშგების მეშვეობით. |
| 1.2 | დირექტორატის ზედამხედველობა | გთხოვთ აღწეროთ **მენეჯმენტის (დირექტორატის)** როლი იმ მმართველობით პროცესებში, კონტროლის მექანიზმებსა და პროცედურებში, რომლებიც გამოიყენება ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შეფასებისთვის, მართვისა და ზედამხედველობისთვის, მათ შორის ინფორმაცია იმის შესახებ:<br>• არის თუ არა ეს როლი **დელეგირებული კონკრეტულ მენეჯმენტის დონის პოზიციაზე** და როგორ ხორციელდება ამ პოზიციის ზედამხედველობა;<br>• იყენებს თუ არა დირექტორატი **კონტროლის მექანიზმებსა და პროცედურებს** ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების ზედამხედველობის მხარდასაჭერად და თუ ასეა, როგორ არის ეს მექანიზმები და პროცედურები ინტეგრირებული სხვა შიდა ფუნქციებთან. | მიკრობანკის დირექტორატი პასუხისმგებელია ESG მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრასა და მათი პრაქტიკაში დანერგვის უზრუნველყოფაზე, ასევე ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვის ეფექტური სისტემების შექმნასა და ფუნქციონირებაზე. ESG საკითხების მართვა დელეგირებულია მიკრობანკის ოპერაციების დირექტორსა და რისკების დირექტორზე. ოპერაციების დირექტორი და რისკების დირექტორი უზრუნველყოფენ ESG საკითხების ინტეგრირებას ბიზნესპროცესებში, მათ შორის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ფაქტორების გათვალისწინებას საქმიანობის დაგეგმვისა და რისკების მართვის პროცესებში. საოპრაციო დირექტორის დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს ადამიანური კაპიტალის მართვისა და კორპორაციული მდგრადობის განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელია ESG სტრატეგიის შემუშავებაზე, ESG მიზნებისა და ინიციატივების კოორდინაციაზე, ანგარიშგების მომზადებასა და ინვესტორებთან, პარტნიორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ESG საკითხებზე კომუნიკაციაზე. რისკების დეპარტამენტი პასუხისმგებელია ESG რისკების იდენტიფიცირებაზე, შეფასებაზე, მონიტორინგსა და მართვის პროცესში ინტეგრირებაზე. დეპარტამენტი უზრუნველყოფს ESG რისკების ჩართვას მიკრობანკის საერთო რისკების მართვის ჩარჩოში, მათ შორის საკრედიტო, საოპერაციო, რეპუტაციული და სხვა არსებითი რისკების შეფასების პროცესებში, ასევე ახორციელებს ESG რისკების მონიტორინგსა და შესაბამისი ანგარიშგების მომზადებას მენეჯმენტისა და სამეთვალყურეო ორგანოებისთვის. |
| 1.3 | შიდა ანგარიშგება | გთხოვთ აღწეროთ თუ როგორ ახდენს ბანკი ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებას **შიდა ანგარიშგების ჩარჩოში,** მათ შორის:<br>• ის **პროცესები და მექანიზმები,** რომელთა მეშვეობითაც ხდება ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების ასახვა შიდა ანგარიშგებასა და ინფორმაციის ნაკადებში მთელი ინსტიტუტის მასშტაბით;<br>• ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ **შიდა კომუნიკაციის სტრუქტურა და პასუხისმგებლობები** ბიზნეს ხაზებს, რისკების მართვას, შიდა კონტროლის ფუნქციებსა და მმართველობით ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი) შორის;<br>• ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ შიდა ანგარიშგების და ინფორმაციის გაცვლის **სიხშირე;** ასევე, ის, თუ **რა სიხშირით მიეწოდება** მმართველობით ორგანოს ინფორმაცია ESG/მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებული მატერიალური მოვლენების/ცვლილებების შესახებ. | |
| 1.4 | ანაზღაურების პოლიტიკა | გთხოვთ აღწეროთ როგორ არის ESG/მდგრადობის რისკები და შესაძლებლობები გათვალისწინებული ბანკის **ანაზღაურების პოლიტიკაში,** მათ შორის:<br>• არის თუ არა ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული ფაქტორები გათვალისწინებული მენეჯმენტის ორგანოს (დირექტორატი) **ანაზღაურების პოლიტიკის კრიტერიუმებში**;<br>• ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული კრიტერიუმები, საქმიანობის შეფასების მაჩვენებლები ან სხვა ინდიკატორები, რომლებიც **გამოიყენება ცვლადი ანაზღაურების** დასადგენად;<br>• **როგორ** ხდება ESG/მდგრადობის მიზნების მიღწევის მონიტორინგი, შეფასება და მათი დაკავშირება ანაზღაურებასთან. | |

# <u>სტრატეგია</u>

ხარისხობრივი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ახდენენ ფინანსური ინსტიტუტები ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების ინტეგრირებას თავიანთ ბიზნეს მოდელში, სტრატეგიასა და ფინანსურ დაგეგმვაში.

<u>*ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები მოიცავს კლიმატთან, ბუნებასთან დაკავშირებულ და სხვა გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით ფაქტორებს. თუ ინსტიტუტის მიდგომა აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში განსხვავებულია, მაშინ ორგანიზაციამ თითოეული ტიპის რისკისა თუ შესაძლებლობისთვის ცალკეული და დეტალური ინფორმაციის გამჟღავნება უნდა მოახდინოს.*</u>

<u>*გთხოვთ არ შეცვალოთ შაბლონის ფორმატი!*</u>

| # | საკითხი | | პასუხი |
|---|---|---|---|
| 2.1 | ESG რისკები და შესაძლებლობები | გთხოვთ, აღწეროთ ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული ის **რისკები და შესაძლებლობები**, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გავლენას მოახდენს ბანკზე მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. კერძოდ, მიუთითეთ:<br>• ბანკის მიერ გამოვლენილი იმ კონკრეტული ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების დეტალური აღწერა, რომლებიც მოსალოდნელია რომ **ბანკის პერსპექტივებზე მატერიალურ გავლენას** მოახდენს, მათ შორის, საჭიროებისამებრ, გარემოსდაცვითი, სოციალური, კლიმატთან და ბუნებასთან დაკავშირებული ფაქტორები;<br>• **დროითი ჰორიზონტები**, რომელთა განმავლობაშიც მოსალოდნელია იდენტიფიცირებული რისკებისა და შესაძლებლობების გავლენა (მოკლევადიანი, საშუალოვადიანი ან გრძელვადიანი);<br>• ბანკის მიერ განსაზღვრული **„მოკლევადიანი“, „საშუალოვადიანი“ და „გრძელვადიანი“ პერიოდების განმარტებები** და ის, თუ როგორ არის ეს განმარტებები დაკავშირებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისათვის გამოყენებულ დაგეგმვის ჰორიზონტებთან. | **რისკები: გარემოსდაცვითი რისკები: მიკრო**ბანკი აღიარებს, რომ საკუთარი საქმიანობით შესაძლოა პირდაპირი და არაპირდაპირი ზეგავლენა ჰქონდეს გარემოზე, სადაც ის ოპერირებს. დაკრედიტების პროცესში დაფინანსებული პროექტების საქმიანობით გარემოზე მიყენებული შესაძლო ზიანი მიკრობანკის მატერიალურ რისკად არის განსაზღვრული. მიკრობანკის საოპერაციო რისკების ჩარჩოს შესაბამისად, გარე ფაქტორებიდან გამომდინარე ბუნებრივი და სტიქიური კატასტროფები წარმოადგენს რისკს, რომელიც იწვევს კრიტიკული სისტემების შეფერხებას და ბანკისთვის ფინანსურ ზარალს. **სოციალური რისკები:** ადამიანური კაპიტალის რისკი: მიკრობანკს გააჩნია მაღალკვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვისა და შენარჩუნების რისკი. მიკრობანკად გარდაქმნის სტრატეგიული გადაწყვეტილება ითვალისწინებს გაზრდილ მოთხოვნას მაღალი კვალიფიკაციის საბანკო გამოცდილების მქონე პროფესიონალებზე. სწრაფად ცვალებად გარემოზე მორგების მიზნით, მიკრობანკმა თანამშრომლებს ხელი უნდა შეუწყოს სათანადო უნარებით აღჭურვაში. **მმართველობითი რისკები:** შესაბამისობის რისკი: ბანკის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და თავის საქმიანობაში, მიკრობანკი, მათ შორის, ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივ აქტებს. საქართველო გამოირჩევა საკანონმდებლო ბაზის რეგულარული განახლებით, შესაბამისად, მიკრობანკზე ზეგავლენას ახდენს მზარდი მარეგულირებელი მოთხოვნები და კონკურენტული გარემო, რომელშიც ის ოპერირებს და რომელიც შეიძლება შეიცვალოს რეგულაციის ცვლილებების შედეგად, რომლის მასშტაბის და ზემოქმედების სრულად პროგნოზირება შეუძლებელია. ინფორმაციული უსაფრთხოების რისკი: ინფორმაციული უსაფრთხოების რისკი - კლიენტების მონაცემების კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის დაცვა ბანკის მმართველობის კრიტიკული კომპონენტია. |
| 2.2 | ბიზნეს მოდელი | გთხოვთ აღწეროთ როგორ აფასებს და ითვალისწინებს ბანკი ESG/მდგრადობასთან დაკავშირებულ რისკებსა და შესაძლებლობებს **ბიზნეს მოდელში,** მათ შორის:<br>• ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების **მიმდინარე და მოსალოდნელი ზეგავლენა** ბანკის ბიზნეს მოდელსა და რისკის პროფილზე;<br>• სად **კონცენტრირდება** ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები, მაგალითად, გეოგრაფიული არეალები, აქტივების ტიპები, კლიენტთა სეგმენტები  და სხვა. | |
| 2.3 | სტრატეგია და გადაწყვეტილების მიღება | გთხოვთ აღწეროთ როგორ ახდენს ბანკი ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების **ინტეგრირებას სტრატეგიასა და გადაწყვეტილების** მიღების პროცესებში, მათ შორის:<br>•როგორ უპასუხა ბანკმა და როგორ **გეგმავს რეაგირებას ESG/მდგრადობასთან დაკავშირებულ** რისკებსა და შესაძლებლობებზე თავის სტრატეგიასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; მათ შორის, თუ როგორ ახდენს ეს ფაქტორები გავლენას ბიზნესის დაგეგმვაზე, რესურსების განაწილებასა და გრძელვადიანი სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრაზე;<br>• დროთა განმალობაში როგორ ვითარდება ბანკის მიერ ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობის ინტეგრირების პროცესი ისეთი **გარე ფაქტორების ცვლილებების საპასუხოდ** როგორიცაა, პოლიტიკის ჩარჩოებში ცვლილებები, ტექნოლოგიური განვითარება, ზოგადი ბიზნეს გარემო, დაინტერესებული მხარეების (მაგალითად, მომხმარებლები და ინვესტორები) პრეფერენციები და ფიზიკირი გარემოს ცვლილებები;<br>• **როგორ უზრუნველყოფს** ბანკი თავისი ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული სტრატეგიული ქმედებების **განხორციელებას**;<br>• რაოდენობრივი და ხარისხობრივი **განახლებები** წინა საანგარიშო პერიოდებში გამჟღავნებულ ESG მიზნებსა და ინიციატივებზე **მიღწეული პროგრესის შესახებ**, მათ შორი მიზნებსა თუ სტრატეგიებში შეტანილი კორექტირება ბაზრის პირობების, მარეგულირებელი ცვლილებების ან საოპერაციო გამოწვევების გათვალისწინებით. | |
| 2.4 | სტრატეგიული მიზნები და ამოცანები | გთხოვთ აღწეროთ ბანკის ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული სტრატეგიული **მიზნობრივი მაჩვენებლები და ლიმიტები**. კერძოდ, მიუთითეთ:<br>• ბანკის მიერ დადგენილი ESG/მდგრადობასთან დაკავშირებულ **მიზნები და ლიმიტები,** მათ შორის, საჭიროებისამებრ, ისეთი რაოდენობრივი ან თვისებრივი ინდიკატორები, როგორიცაა მწვანე აქტივების კოეფიციენტი (GAR), სათბური აირების (GHG) ემისიების შემცირების მიზნები ან სხვა შესაბამისი მდგრადობის ინდიკატორები;<br>• ბანკის მიერ აღნიშნული მიზნობრივი მაჩვენებლებისა და ლიმიტების **განსაზღვრის, დამტკიცების, მონიტორინგისა და პერიოდული გადახედვის პროცესი.** ასევე, მოითითეთ ამ პროცესში ჩართული მმართველობითი ორგანოები და პროგრესის შეფასების მექანიზმები.<br>• ამ ამოცანებისა და მიზნობრივი მაჩვენებლების **მოცვის არეალი** — ვრცელდება ისინი მთლიანად ბანკზე თუ კონკრეტულ პორტფელებზე, ბიზნეს ხაზზე, კლიენტთა სეგმენტებსა თუ გეოგრაფიულ რეგიონებზე;<br>• **დროითი ჰორიზონტები**, რომლებზეც ვრცელდება ეს ამოცანები და მიზნობრივი მაჩვენებლები, პროგრესის გასაზომად გამოყენებული საბაზისო პერიოდი და ნებისმიერი შუალედური ამოცანები თუ მიზნობრივი მაჩვენებლები;<br>• ამ მიზნებისა და ლიმიტების **განსაზღვრის, დამტკიცების, მონიტორინგისა და პერიოდული გადახედვის პროცესები**, მათ შორის, მასში ჩართული მმართველობითი ორგანოები და პროგრესის შეფასების მექანიზმები;<br>• ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული ამოცანების, მიზნებისა და ლიმიტების **შესაბამისობა შესაბამის საერთაშორისო და ეროვნულ ჩარჩოებთან**, როგორიცაა პარიზის შეთანხმება, ეროვნული კლიმატის პოლიტიკა და ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC);<br>• ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად **განხორციელებული ან დაგეგმილი ქმედებები**;<br>• ბანკის **გარდამავლობის გეგმა** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მათ შორის ძირითადი ეტაპები, ვადები, დაშვებები, დანერგილი საერთაშორისო ჩარჩოები ან სტანდარტები (მაგ. Net Zero Banking Alliance, Science-Based Targets initiative, Global Biodiversity Framework) და მათი შესაბამისობა ბანკის ფართო სტრატეგიასთან და რისკის მადასთან. | |
| 2.5 | სცენარების ანალიზი და მედეგობა | გთხოვთ აღწეროთ როგორ **აფასებს** ბანკი თავისი **სტრატეგიის მედეგობას** (resilience) ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების მიმართ სხვადასხვა სცენარის პირობებში. კერძოდ, მიუთითეთ:<br>• როგორ გამოიყენება **სცენარული ანალიზი** ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების - მათ შორის კლიმატური (გარდამავლობის და ფიზიკური) და ბუნებასთან დაკავშირებული რისკების - პოტენციური ზემოქმედების შესაფასებლად ბანკის სტრატეგიაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ბიზნეს მოდელსა და რისკის პროფილზე;<br>• განხილული **სცენარების ტიპები**, როგორიცაა სხვადასხვა გარდამავლობისა და ფიზიკური რისკის სცენარები; არის თუ არა რომელიმე სცენარი შესაბამისობაში საერთაშორისო შეთანხმებებთან და რა დროითი ჰორიზონტებია გამოყენებული ანალიზში;<br>• გამოყენებული **სცენარების წყაროები** (მაგ. გარე მხარის თუ შიდა შემუშავებული სცენარები) და ანალიზში გამოყენებული **ძირითადი დაშვებები და პარამეტრები**;<br>• სცენარების ანალიზით მოცული **საქმიანობის ფარგლები**, როგორიცაა შესაბამისი გეოგრაფიული არეალები, პორტფელები, ბიზნეს ხაზები ან აქტივების კლასები;<br>• როგორ გამოიყენება სცენარების ანალიზის შედეგები **სტრატეგიული დაგეგმვის**, **მიზნების განსაზღვრისა** და გარდამავლობის გეგმის შედგენისას (არსებობის შემთხვევაში), პორტფელის მართვისა და რისკების შერბილების ქმედებების განსაზღვრისას. | |
| 2.6 | ფინანსური გავლენის განხილვა | გთხოვთ აღწეროთ როგორ ითვალისწინებს ბანკი ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების ზემოქმედებას მის **ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.** მაშ შორის:<br>• როგორ **იმოქმედა** ESG/მდგრადობასთან დაკავშირებულმა რისკებმა და შესაძლებლობებმა ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მათ შორის როგორც ხარისხობრივად, ასევე რაოდენობრივი გავლენა, სადაც ეს შესაძლებელია;<br>• ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების **მოსალოდნელი ეფექტები** ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში და როგორ არის ეს ფაქტორები გათვალისწინებული ფინანსური დაგეგმვის პროცესებში. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2.7 | მდგრადი საკრედიტო და საინვესტიციო აქტივობები | გთხოვთ აღწეროთ ბანკის **მიმდინარე და დაგეგმილი მდგრადი საკრედიტო (სასესხო) და საინვესტიციო პოლიტიკა** მის სტრატეგიულ მიზნებთან და გარდამავლობის გეგმასთან (transition plan) შესაბამისობაში. კერძოდ, მიუთითეთ:<br>• ბანკის **მიმდინარე მდგრადი საკრედიტო და საინვესტიციო საქმიანობა**, მათ შორის მწვანე სესხების, სოციალური სესხების და მდგრადი დაკრედიტების სხვა ფორმების სახეები და მოცულობები, აგრეთვე ინვესტიციები მდგრად აქტივებსა თუ პროექტებში;<br>• ბანკის **სამომავლო (დაგეგმილი) მდგრადი საკრედიტო და საინვესტიციო საქმიანობა**, მათ შორის მოსალოდნელი ცვლილებები საკრედიტო და საინვესტიციო პორტფელის სტრუქტურაში, მდგრადი ფინანსური პროდუქტების განვითარება/გაფართოება და სტრატეგიული ფოკუსი კონკრეტულ ეკონომიკურ სექტორებზე, კლიენტთა სეგმენტებსა თუ გეოგრაფიულ არეალებზე;<br>• როგორ ახორციელებს ბანკი თავისი საკრედიტო და საინვესტიციო საქმიანობის **მონიტორინგს, შეფასებასა და ანგარიშგებას** მის ESG/მდგრადობის ამოცანებთან, მიზნებთან და გარდამავლობის გეგმასთან შესაბამისობის კუთხით. | |
| 2.8 | კონტრაგენტებთან (კლიენტებთან) კომუნიკაცია | გთხოვთ აღწეროთ პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც დაკავშირებულია **ახალ ან არსებულ კონტრაგენტებთან** (კლიენტებთან) პირდაპირ და ირიბ კომუნიკაციასა და ჩართულობასთან (engagement) მათი გარემოსდაცვითი რისკების შერბილების, შემცირებისა და სოციალურად საზიანო საქმიანობის პრევენციის სტრატეგიებთან დაკავშირებით. კერძოდ, მიუთითეთ:<br>• როგორ აფასებს ბანკი **კონტრაგენტების უნარს და შესაძლებლობებს მართონ** ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები, მათ შორის შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები, კრიტერიუმები ან ინსტრუმენტები;<br>• როგორ **წარმართავს ბანკი დიალოგს** კონტრაგენტებთან ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული **რისკების შერბილების წასახალისებლად**, მათ შორის ჩართულობის კონკრეტული პრაქტიკა, მონიტორინგის მექანიზმები ან ესკალაციის პროცედურები, რომლებიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტის ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების მართვის პრაქტიკა არასაკმარისად მიიჩნევა. | |

# <u>რისკების მართვა</u>

ხარისხობრივი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ახდენენ ფინანსური ინსტიტუტები ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებას, შეფასებას, მართვასა და მონიტორინგს და როგორ არის ეს ფაქტორები ინტეგრირებული რისკების მართვის საერთო ჩარჩოში.

*<u>ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები მოიცავს კლიმატთან და ბუნებასთან დაკავშირებულ და სხვა გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით ფაქტორებს. თუ ორგანიზაციის მიდგომა აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში განსხვავებულია, მაშინ ორგანიზაციამ თითოეული რისკის ან/და შესაძლებლობისთვის ცალ-ცალკე გამჟღავნების დეტალური რეპორტი უნდა წარმოადგინოს.</u>*

*<u>გთხოვთ არ შეცვალოთ შაბლონის ფორმატი!</u>*

| # | კითხვა | | პასუხი |
|---|---|---|---|
| 3.1 | ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების შეფასება და ინტეგრირება | გთხოვთ აღწეროთ ის **პროცესები და შესაბამისი პოლიტიკა**, რომლებსაც ბანკი იყენებს ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებისთვის, შეფასებისთვის, პრიორიტეტიზაციისთვის, მართვისა და მონიტორინგისთვის. მათ შორის, მიუთითეთ:<br>• ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული **რისკების მართვის ოფიციალური პოლიტიკის არსებობა** და მოცვის არეალი, ძირითადი ფოკუსირების სფეროები და ოპერაციული ინტეგრაცია;<br>• ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების შეფასებისას **გამოყენებული განმარტებები, ზოგადი მიდგომები და მეთოდოლოგიები** და საერთაშორისო/ეროვნული სტანდარტები;<br>• როგორ აფასებს ბანკი ამ **რისკების მახასიათებლებს, ალბათობასა და გავლენის მასშტაბებს** (მაგალითად, ითვალისწინებს თუ არა ბანკი ხარისხობრივ ფაქტორებს, რაოდენობრივ ზღვრებს ან სხვა კრიტერიუმებს);<br>• ახდენს თუ არა ბანკი ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების **პრიორიტეტიზაციას სხვა ტიპის რისკებთან მიმართებით** და როგორ;<br>• წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით გამოყენებულ პროცესებში **შეტანილი ცვლილებები**, მათი დასაბუთება და ცვლილებების არეალი;<br>• რამდენად და როგორ არის ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირების, შეფასების, პრიორიტეტიზაციისა და მონიტორინგის პროცესები ინტეგრირებული ბანკის **რისკების მართვის საერთო ჩარჩოში** და რამდენად განსაზღვრავს მას. | გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა ინტეგრირებულია მიკრობანკის რისკების მართვის საერთო ჩარჩოში. კერძოდ, მიკრობანკში მოქმედებს აკრძალული საქმიანობების ჩამონათვალი. აღნიშნულ ჩამონათვალში მოცემულია ისეთი საქმიანობები, რომლებმაც მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული რისკის მატარებელია და იკრძალება საქართველოს კანონმდებლობით. დაფინანსების შეფასების ეტაპზე მოწმდება დასაფინანსებელი საქმიანობის შესაბამისობა აღნიშნულ სიასთან.  მიკრობანკს ჰყავს ESG საქმიანობის მართვაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი, რომლის უშუალო ფუნქციაა უზრუნველყოფს მიკრობანკის საქმიანობის შესაბამისობა მიკრობანკში არსებულ პოლიტიკებთან და პროცესებთან. მიკრობანკად ტრანსფორმაციის პროცესში ემბისი გეგმავს ეტაპობრივად დანერგოს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის კომპლექსური მიდგომა, ჩამოაყალიბოს შესაბამისი პოლიტიკა და მართოს აღნიშნული პროცესი ეფექტურად. |
| 3.2 | ESG რისკის მართვის პროცესები, მექანიზმები და ინსტრუმენტები | გთხოვთ აღწეროთ ის **კონკრეტული მეთოდოლოგიები, მიდგომები, ინსტრუმენტები და საოპერაციო პროცესები**, რომლებიც გამოიყენება ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული **რისკებისადმი მგრძნობიარე ან მოწყვლადი აქტივობებისა და დამოკიდებულებების** იდენტიფიცირებისთვის, გაზომვისთვის, მართვისა და მონიტორინგისთვის, მათ შორის:<br>• **მიდგომები და მეთოდები**, რომელიც გამოიყენება ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების **მატერიალურობის (მათ შორის ორმაგი მატერიალურობის) დასადგენად** და იმის შესახებ, თუ როგორ ფასდება ეს რისკები ფინანსური პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, მათ შორის სესხის განაცხადის შეტანისა და დამტკიცების, გადახდისუნარიანობის შეფასებისა და მიმდინარე მონიტორინგის ეტაპებზე;<br>• **ინსტრუმენტები და მეთოდები**, მათ შორის პროგნოზული/მომავალზე ორიენტირებული ინსტრუმენტები (სტრეს-ტესტი, სენსიტიურობის ანალიზი, სცენარების ანალიზი), რომლებიც გამოიყენება ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების შესაფასებლად; ასევე, მიუთითეთ რომელ დონეებზე (კლიენტის დონეზე, პორტფელის დონეზე, სექტორულ დონეზე და ა.შ.) გამოიყენება ჩამოთვლილი ინსტრუმენტები;<br>• იმ **მეთოდოლოგიებისა და პარამეტრების დეტალური აღწერა**, რომლებიც გამოიყენება **მგრძნობიარე ან მოწყვლადი დამოკიდებულებების იდენტიფიცირებისა** და შეფასებისთვის; საჭიროებისამებრ, განმარტეთ უზრუნველყოფის (გირაოს) გათვალისწინების პრინციპები და შეფასების წესები;<br>• **იდენტიფიცირებული მგძნობიარე/მოწყვლადი აქტივების**/დამოკიდებულებების **უწყვეტი მონიტორინგისა** და მართვის პროცესები, მათ შორის, ესკალაციის პროცედურები იმ შემთხვევაში, თუ რისკები დადგენილ ზღვრებს გადააჭარბებს; | |
| 3.3 | ESG რისკების მართვა და მიტიგაცია | გთხოვთ აღწეროთ როგორ **მართავს ბანკი ESG/მდგრადობასთან დაკავშირებულ რისკებს და ახდენს მათ მიტიგაციას.** მათ შორის, მიუთითეთ:<br>• ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების **შეფასებისა და ანალიზის** (მაგ. კლიმატის სცენარების ანალიზი, ESG დიუ დილიჯენსი) **ძირითადი მიგნებები** და ის, თუ როგორ იმოქმედა შეფასების **შედეგებმა სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე**, **რისკის მადასა** და რესურსების განაწილებაზე;<br>• **არის თუ არა და როგორ არის** ინტეგრირებული ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკები და მათი გავლენა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესში **(ICAAP)**;<br>• **არის თუ არა და როგორ არის** ინტეგრირებული ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკები და მათი პოტენციური გავლენა ლიკვიდობის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესში **(ILAAP)**;<br>• ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების მართვისა და **მიტიგაციის მიზნით გამოყენებული ზომები, ინსტრუმენტები** და აქტივობები, მაგალითად, როგორიცაა კონტრაგენტებთან (კლიენტებთან) კომუნიკაცია, ფინანსური პირობების კორექტირება, ESG რისკების ინტეგრირება სექტორულ რისკ-პოლიტიკაში, პორტფელის დივერსიფიკაციის სტრატეგიები და დაფინანსებისა და ინვესტიციების რეალოკაცია; | |
| 3.4 | ESG რისკების პრუდენციული ინტეგრირება | გთხოვთ აღწეროთ, არის თუ არა და როგორ არის ინტეგრირებული ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკები ბანკის **პრუდენციული რისკების მართვის** ჩარჩოში. კერძოდ, მიუთითეთ:<br>• როგორ **უკავშირდება** ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკები (ფიზიკური, გარდამავლობის, სამართლებრივი პასუხისმგებლობის) **პრუდენციული რისკების კატეგორიებს** (საკრედიტო, ლიკვიდობის, საბაზრო, საოპერაციო და რეპუტაციულ რისკებს) და **რა გავლენას ახდენს** მათზე;<br>• **მეთოდოლოგიები და ინსტრუმენტები**, რომლებიც გამოიყენება ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების ასასახავად (mapping) პრუდენციული რისკების კატეგორიებში;<br>• როგორ არის ასახული ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ეფექტები ბანკის | |
| 3.5 | მონაცემთა ხელმისაწვდომობა და ხარისხი | გთხოვთ, აღწეროთ ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების ეფექტიანი მართვისთვის გამოყენებული **მონაცემებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ხარისხი**, მათ შორის:<br>• **ამჟამად გამოყენებული ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული მონაცემების ტიპები,** შიდა მონაცემების, მესამე მხარის წყაროების, რეგულატორული ანგარიშგებები და გარე ბენჩმარკების (შედარებითი მაჩვენებლების) მითითებით;<br>• ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული მონაცემების **არსებული ხარვეზები** (data gaps), რომლებიც გავლენას ახდენს ბანკის მიერ რისკების შეფასებისა და მართვის შესაძლებლობებზე;<br>• **ზომები**, რომლებსაც ბანკი იღებს **მონაცემთა ხარვეზების აღმოსაფხვრელად** და მონაცემთა ხარისხის, მოცვისა და სიზუსტის გასაუმჯობესებლად, მათ შორის, დაგეგმილი გაუმჯობესება, ტექნოლოგიების დანერგვა, ახალი პარტნიორობა მონაცემთა მომწოდებლებთან, კლიენტებთან კომუნიკაციის სტრატეგიები ან მეთოდოლოგიური განახლებები. | |
| 3.6 | ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული შესაძლებლობების შეფასება და ინტეგრირება | გთხოვთ აღწეროთ **ის პროცესები და შესაბამისი პოლიტიკა**, რომლებსაც ბანკი იყენებს ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული შესაძლებლობების იდენტიფიცირებისთვის, შეფასებისთვის, პრიორიტეტიზაციისთვის, მართვისა და მონიტორინგისთვის. მათ შორის, მიუთითეთ:<br>• **ESG შესაძლებლობებთან დაკავშირებული ოფიციალური პოლიტიკის** არსებობა და მოცვის არეალი, მათ შორის, რამდენად შესაბამისობაშია საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებთან;<br>• **პროცესები, ინსტრუმენტები და მონაცემთა წყაროები,** რომლებიც გამოიყენება ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასებისთვის;<br>•  ახდენს თუ არა ბანკი ESG/მდგრადობასთან დაკავშირებული **შესაძლებლობების პრიორიტეტიზაციას** სხვა სტრატეგიულ მიზნებთან მიმართებით და როგორ;<br>• როგორ ხდება გამოვლენილი ESG/მდგრადობასთან დაკავშირებულ შესაძლებლობების გათვალისწინება **ბიზნეს სტრატეგიასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში**, მათ შორის, [illegible] | |

# მაჩვენებლები და მიზნები - საქმიანობის შეფასების ძირითადი მაჩვენებლები (KPIs)

საქმიანობის შეფასების ძირითადი მაჩვენებლები (KPI-ები), რომლებიც ასახავს, თუ როგორ ზომავენ, მართავენ და მონიტორინგს უწევენ ფინანსური ინსტიტუტები თავიანთ ESG/მდგრადობის შედეგებს, აფასებენ პროგრესს დასახული ამოცანებისა და მიზნებისკენ და რეაგირებენ ESG/მდგრადობის რისკებზე.

ამ სექციაში წარმოდგენილი ყველა ინდიკატორი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, უნდა ასახავდეს ბოლო საანგარიშგებო წლის მონაცემებს. გთხოვთ, უზრუნველყოთ გამოყენებული საანგარიშგებო პერიოდის თანხვედრა ინსტიტუტის პილარ 3-ის წლიურ ანგარიშში გამოყენებულ პერიოდთან.

*გთხოვთ არ შეცვალოთ შაბლონის ფორმატი!*

| # | კატეგორია | საქმიანობის შეფასების ძირითადი მაჩვენებელი (KPI) | საზომი ერთეული | განმარტება | პასუხი | კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გარემოსდაცვითი** | | | | | | |
| E.1 | **მწვანე საფინანსო პროდუქტები** | საანგარიშგებო წლის განმავლობაში გაცემული მწვანე სესხების მოცულობა (ნაკადი) (ექვივალენტი ლარში) | ლარი | მწვანე სესხი გულისხმობს სესხს, რომელიც შეესაბამება „მწვანე ტაქსონომიას", როგორც ეს განსაზღვრულია „მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესში".<br>იმ შემთხვევაში, თუ ბანკი მწვანე სესხებს ერთზე მეტ ვალუტაში გასცემს, შესაბამისი მოცულობები მიუთითეთ ცალ-ცალკე ვალუტების მიხედვით.<br>გთხოვთ წინამდებარე დოკუმენტში გამოიყენოთ ტერმინ „მწვანე სესხის" აღნიშნული განმარტება. | - | |
| E.2 | | | აშშ დოლარი | | | |
| E.3 | | | ევრო | | | |
| E.4 | | | სხვა ვალუტა | | | |
| E.5 | | მწვანე სესხების წილი საანგარიშგებო წლის განმავლობაში გაცემულ მთლიან სესხებში (ნაკადი) | % | | 0 | |
| E.6 | | საანგარიშგებო წლის განმავლობაში გაცემული სხვა მწვანე საფინანსო პროდუქტების (გარანტიები, კონტ-გარანტიები, აკრედიტივები და ა.შ.) მოცულობა (ნაკადი) (ექვივალენტი ლარში) | ლარი | მწვანე საფინანსო პროდუქტი გულისხმობს საფინანსო პროდუქტს, რომელიც შეესაბამება „მწვანე ტაქსონომიას", როგორც ეს განსაზღვრულია „მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესში".<br>იმ შემთხვევაში, თუ ბანკი მწვანე საფინანსო პროდუქტს ერთზე მეტ ვალუტაში გასცემს, შესაბამისი მოცულობები მიუთითეთ ცალ-ცალკე ვალუტების მიხედვით.<br>გთხოვთ წინამდებარე დოკუმენტში გამოიყენოთ ტერმინ „მწვანე საფინანსო პროდუქტის" აღნიშნული განმარტება. | - | |
| E.7 | | | აშშ დოლარი | | | |
| E.8 | | | ევრო | | | |
| E.9 | | | სხვა ვალუტა | | | |
| E.10 | | სხვა მწვანე საფინანსო პროდუქტების (გარანტიები, კონტრ-გარანტიები, აკრედიტივები და ა.შ.) წილი საანგარიშგებო წლის განვალობაში გაცემულ მთლიან სხვა ფინანსურ პროდუქტებში (ნაკადი) | % | | 0 | |
| E.11 | | საანგარიშგებო წლის ბოლოს მწვანე სესხების მთლიანი მოცულობა (ნაშთი) (ექვივალენტი ლარში) | ლარი | | - | |
| E.12 | | | აშშ დოლარი | | | |
| E.13 | | | ევრო | | | |
| E.14 | | | სხვა ვალუტა | | | |
| E.15 | | საანგარიშგებო წლის ბოლოს მწვანე სესხების წილი მთლიან პორტფელში (ნაშთი) | % | | 0 | |
| E.16 | | საანგარიშგებო წლის ბოლოს სხვა მწვანე საფინანსო პროდუქტების (გარანტიები, კონტრ-გარანტიები, აკრედიტივები და ა.შ) მთლიანი მოცულობა (ნაშთი) (ექვივალენტი ლარში) | ლარი | | - | |
| E.17 | | | აშშ დოლარი | | | |
| E.18 | | | ევრო | | | |
| E.19 | | | სხვა ვალუტა | | | |
| E.20 | | საანგარიშგებო წლის ბოლოს სხვა მწვანე საფინანსო პროდუქტების (გარანტიები, კონტრ-გარანტიები, აკრედიტივები და ა.შ)  წილი მთლიან პორტფელში | % | | 0 | |
| E.21 | | საანგარიშგებო წლის ბოლოს მწვანე საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების მოცულობა (ნაშთი) (ექვივალენტი ლარში) | ლარი | მწვანე საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები გულისხმობს საინვესტიციო ინსტრუმენტებს (როგორიცაა აქციები, სავალო ინსტრუმენტები ან ფონდის წილებს), რომლებიდან მიღებული ამონაგები ექსკლუზიურად ხმარდება ახალი ან/და არსებული პროექტების დაფინანსებას ან რეფინანსირებას, რომლებიც შეესაბამება მწვანე ტაქსონომიას (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულს ან ისეთ საერთაშორისო სტანდარტებს, როგორიცაა ICMA-ს მწვანე ობლიგაციების პრინციპები და ევროკავშირის ტაქსონომია).<br>გთხოვთ წინამდებარე დოკუმენტში გამოიყენოთ ტერმინ „მწვანე საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების" აღნიშნული განმარტება. | - | |
| E.22 | | საანგარიშგებო წლის ბოლოს მწვანე საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების წილი მთლიან საინვესტიციო ფასიან ქაღალდებში | % | | 0 | |
| E.23 | | საანგარიშგებო წლის განმავლობაში გამოშვებული მწვანე სავალო ფასიანი ქაღალდების მოცულობა (ექვივალენტი ლარში) | ლარი | მწვანე სავალო ფასიანი ქაღალდები გულისხმობს სავალო ინსტრუმენტებს (ობლიგაციებს), რომლებსაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიენიჭათ შესაბამისი სტატუსი „წვანე, სოციალური, მდგრადობის და მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების სტატუსის მინიჭების, შენარჩუნების და გაუქმების წესის" შესაბამისად. აღნიშნული ასევე მოიცავს ადგილობრივ ან საერთაშორისო ბაზრებზე განთავსებულ ფასიან ქაღალდებს, რომლებიც შეესაბამება აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის ICMA-ს მწვანე ობლიგაციების პრინციპებს ან კლიმატის ობლიგაციების ინიციატივის (CBI) სტანდარტებს.<br>გთხოვთ წინამდებარე დოკუმენტში გამოიყენოთ ტერმინ „მწვანე სავალო ფასიანი ქაღალდების" აღნიშნული განმარტება. | - | |
| E.24 | | მწვანე სავალო ფასიანი ქაღალდების წილი საანგარიშგებო წლის განმავლობაში გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებში | % | | 0 | |
| E.25 | | საანგარიშგებო წლის ბოლოს მწვანე სავალო ფასიანი ქაღალდების მთლიანი მოცულობა  (ნაშთი) (ექვივალენტი ლარში) | ლარი | | - | |
| E.26 | | საანგარიშგებო წლის ბოლოს მწვანე სავალო ფასიანი ქაღალდების წილი მთლიან სავალო ფასიანი ქაღალდების პორტფელში (ნაშთი) | % | | 0 | |
| E.27 | | უმოქმედო მწვანე სესხების კოეფიციენტი (Green NPL Ratio) | % | საანგარიშგებო წლის ბოლოს, უმოქმედო მწვანე სესხების წილი მთლიან მწვანე სესხებში:<br>უმოქმედო მწვანე სესხების კოეფიციენტი (Green NPL Ratio) = (S3+POCI)/((S1+S2+S3+POCI)*100, სადაც:<br>S1 - პირველი დონის მწვანე სესხები; S2 - მეორე დონის მწვანე სესხები; S3 - მესამე დონის მწვანე სესხები; და POCI - შესყიდული ან საკრედიტო ზარალით გაუფასურებული მწვანე სესხები. | - | |
| E.28 | | მწვანე აქტივების კოეფიციენტი (Green Asset Ratio) | % | საანგარიშგებო წლის ბოლოს, მწვანე აქტივების წილი (სესხები, ობლიგაციები, ფასიანი ქაღალდები და ა.შ.) მთლიან აქტივებთან მიმართებაში:<br>GAR= მწვანე აქტივები / მთლიანი აქტივები ×100 | - | |
| E.29 | | მწვანე სესხების მიზნობრივი მაჩვენებელი | % | მწვანე სესხების მიზნობრივი მაჩვენებელი გულისხმობს რაოდენობრივ მიზანს, რომელიც გამოხატულია როგორც პროცენტული წილი მთლიან სასესხო პორტფელში. | 0 | |
| E.30 | **სათბური აირების ემისიები** | Scope 1 GHG ემისიები | tCO2eq | სათბური აირების (GHG) მთლიანი პირდაპირი ემისიები (Scope 1) — ემისიები იმ წყაროებიდან, რომლებსაც ფლობს ან აკონტროლებს ბანკი (მაგ. საწვავის წვა, კომპანიის ავტომობილები) საანგარიშგებო წლის განმავლობაში. მეთოდოლოგია: GHG პროტოკოლი. | 162.2961 | |
| E.31 | | Scope 2 GHG ემისიები | tCO2eq | სათბური აირების (GHG) მთლიანი არაპირდაპირი ემისიები (Scope 2) — არაპირდაპირი ემისიები ბანკის მიერ შეძენილი ელექტროენერგიის, ორთქლის, გათბობისა და გაგრილების წარმოებიდან საანგარიშგებო წლის განმავლობაში. მეთოდოლოგია: GHG პროტოკოლი. | 39.825 | |
| E.32 | | Scope 3 GHG ემისიები (დაფინანსებული ემისიების ჩათვლით) | tCO2eq | სათბური აირების (GHG) მთლიანი სხვა არაპირდაპირი ემისიები (Scope 3, დაფინანსებული ემისიების ჩათვლით) — ღირებულებათა ჯაჭვში წარმოქმნილი ყველა სხვა არაპირდაპირი ემისია, მათ შორის ემისიები დაკავშირებული სამსახურებრივ მივლინებებთან, შესყიდულ საქონელთან და მომსახურებასთან, საანგარიშგებო წლის განმავლობაში. მეთოდოლოგია: GHG პროტოკოლი. | 26.5 | |
| E.33 | | ნახშირბადის კვალი | tCO2eq | ბანკის მიერ საანგარიშგებო წლის განმავლობაში პირდაპირ ან არაპირდაპირ GHG ემისიების მთლიანი რაოდენობა:<br>ნახშირბადის კვალი (Carbon Footprint) = Scope 1 + Scope 2 + Scope 3 | 228.6211 | |
| E.34 | | დაფინანსებული ემისიები (Scope 3, კატეგორია 15) | tCO2eq | დაფინანსებული ემისიები — ემისიები, რომლებიც დაკავშირებულია დაკრედიტებასთან, ინვესტიციებთან და სხვა ფინანსურ მომსახურებასთან საანგარიშგებო წლის განმავლობაში. მეთოდოლოგია: საქართველოს ეროვნული ბანკის დაფინანსებული ემისიების ინსტრუმენტი; PCAF სტანდარტი. | 22614.08098 | მეთოდოლოგია: საქართველოს ეროვნული ბანკის დაფინანსებული ემისიების ინსტრუმენტი; PCAF სტანდარტი. |
| E.35 | | საოპერაციო ნახშირბადის ინტენსივობა (Scope 1 & Scope 2) | tCO2eq/₾Mln. | სათბური აირების (GHG) ემისიები ბიზნესსაქმიანობის ერთეულზე ბანკის საკუთარი ოპერაციებისთვის საანგარიშგებო წლის განმავლობაში:<br>ნახშირბადის ინტენსივობა = [Scope 1 + Scope 2 ემისია ($tCO_2e$)]/ მთლიანი საოპერაციო შემოსავალი (₾ მლნ) | 0.00000885 | |
| E.36 | | დაფინანსებული ემისიების ინტენსივობა (Scope 3, კატეგორია 15) | tCO2eq/₾Mln. | ბანკის პორტფელის ნახშირბადის ინტენსივობა საანგარიშგებო წლის განმავლობაში:<br>დაფინანსებული სათბური აირების ემისიების ინტენსივობა ($tCO_2e$/₾Mln) = Σ [დაფინანსებული სათბური აირების ემისია$_i$ ($tCO_2e$) / სესხების/ინვესტიციების მიმდინარე ღირებულება$_i$ (₾Mln)] | N/A | |
| E.37 | | დაფინანსებული ემისიების მოცვის არეალი | % | მთლიანი პორტფელის წილი (ღირებულების მიხედვით), რომლისთვისაც ბანკმა დათვალა დაფინანსებული GHG ემისიები (Scope 3, კატეგორია 15) PCAF-ის მეთოდოლოგიის გამოყენებით.<br>PCAF-ის დაფარვის კოეფიციენტი = (პორტფელი დათვლილი ემისიებით / მთლიანი პორტფელი) × 100 | N/A | |
| E.38 | | ნახშირბადის კვალის მიზნობრივი მაჩვენებელი | % | მთლიანი GHG ემისიების (Scope 1, 2 და 3), ნახშირბადის კვალის, შემცირების მიზნობრივი მაჩვენებელი საბაზისო წელთან შედარებით. კომენტარების ველში მიუთითეთ საბაზისო წელი და მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევის წელი. | N/A | ვინაიდან Scope 1, 2 და 3 ემისიების აღრიცხვა პირველად განახორციელა მიკრობანკმა, 2025 წელს განვსაზღვრავთ საბაზისო წლად. მიზნობრივ მაჩვენებლებს ეხლა გავწერთ 2025 წლის მონაცემებზე დაყრდნობით და მომავალ წელს შევძლებთ ამ ინფორმაციის წარმოდგენას. |
| E.39 | | დაფინანსებული ემისიების მიზნობრივი მაჩვენებელი | % | დაფინანსებული GHG ემისიების (მაგ. დაკავშირებული სესხებთან, ინვესტიციებთან) შემცირების მიზნობრივი მაჩვენებელი საბაზისო წელთან შედარებით. კომენტარების ველში მიუთითეთ საბაზისო წელი და მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევის წელი. | N/A | ვინაიდან Scope 1, 2 და 3 ემისიების აღრიცხვა პირველად განახორციელა მიკრობანკმა, 2025 წელს განვსაზღვრავთ საბაზისო წლად. მიზნობრივ მაჩვენებლებს ეხლა გავწერთ 2025 წლის მონაცემებზე დაყრდნობით და მომავალ წელს შევძლებთ ამ ინფორმაციის წარმოდგენას. |
| E.40 | **ენერგიის მოხმარება და ენერგო-ეფექტურობა** | ენერგიის მთლიანი მოხმარება | კვტ.სთ (kWh) | საანგარიშგებო წლის განმავლობაში ბანკის შენობების, ფილიალების, ბანკომატებისა და მონაცემთა ცენტრების მიერ მოხმარებული მთლიანი ენერგია. საჭიროებისამებრ მოიცავით ყველა შესაბამისი წყარო, როგორიცაა ელექტროენერგია, გათბობა და საწვავი. | 295 000 კვტ.სთ | |
| E.41 | | განახლებადი ენერგიის წილი (RES) | % | საანგარიშგებო წლის განმავლობაში განახლებადი წყაროებიდან (მაგ. მზის, ქარის ენერგია) მიღებული ენერგიის წილი მთლიან მოხმარებაში.<br>RES (განახლებადი ენერგიის წილი) = (მოხმარებული განახლებადი ენერგია / მთლიანი მოხმარებული ენერგია) × 100<br>კომენტარების ველში მოკლედ აღწერეთ განახლებადი ენერგიის შესყიდვის სტრატეგიები და მიზნები. ხაზი გაუსვით „მწვანე" ელექტროენერგიის შესყიდვას ან ადგილზე გენერაციას (მაგ. შენობის სახურავზე დამონტაჟებული მზის პანელები). | - | |
| E.42 | | ენერგომოხმარების ინტენსივობა (ECI) | kWh per FTE | საანგარიშგებო წლის განმავლობაში ენერგომოხმარების ინტენსივობა (ECI) — საოპერაციო ენერგოეფექტურობა, რომელიც იზომება ერთ სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელზე (FTE) მოხმარებული ენერგიის მიხედვით:<br>ECI = ენერგიის მთლიანი მოხმარება / FTE-ების რაოდენობა | 1017.24 | |
| E.43 | | ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება | % | ენერგომოხმარების წლიური შემცირება:<br>EE = (წინა წლის ენერგიის მოხმარება ერთ FTE-ზე - მიმდინარე წლის ენერგიის მოხმარება ერთ FTE-ზე) / წინა წლის ენერგიის მოხმარება ერთ FTE-ზე x 100<br>კომენტარების ველში, აღწერეთ ენერგიის დაზოგვის ძირითადი ინიციატივები, ინვესტიციები ტექნოლოგიებსა და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებაში (მაგ., ჭკვიანი სისტემები) | -0.54 | |
| E.44 | | წყლის მთლიანი მოხმარება | კუბური მეტრი ($m^3$) | საანგარიშგებო წლის განმავლობაში ბანკის შენობების, მათ შორის ოფისების, ფილიალებისა და ოპერაციული ჰაბების, მიერ მოხმარებული წყლის მთლიანი მოცულობა. | 4,200 | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| E.45 | **წყლის რესურსების მართვა** | წყლის გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელი | $m^3$ per FTE | საანგარიშგებო წლის განმავლობაში წყლის მოხმარების ეფექტიანობა, გაზომილი ერთ სრულ განაკვეთზე დასაქმებულ თანამშრომელზე (FTE):<br>წყლის გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელი (WE) = მთლიანი ამოღებული წყლის მოცულობა / FTE-ების რაოდენობა.<br>კომენტარების ველში აღწერეთ არსებული ტენდენციები, მოხმარების შემცირების ინიციატივები და შიდა მიზნობრივი მაჩვენებლები. | 14.48 | |
| E.46 | | წყლის რეციკლირების მაჩვენებელი | % | საანგარიშგებო წლის განმავლობაში რეციკლირებული (მეორადად გამოყენებული) წყლის პროცენტული წილი წყლის მთლიან მოხმარებაში:<br>WRR = (რეციკლირებული წყლის მოცულობა / წყლის მთლიანი მოხმარება) ×100<br>კომენტარების ველში მიუთითეთ დეტალები რეციკლირების პრაქტიკისა და რეციკლირებული წყლის გამოყენების სფეროს ინიციატივების შესახებ. | - | |
| E.47 | **ნარჩენების მართვა** | მთლიანი წარმოქმნილი ნარჩენები | კილოგრამი (კგ) | საანგარიშგებო წლის განმავლობაში ბანკის ოპერაციებიდან წარმოქმნილი მყარი ნარჩენების საერთო მოცულობა, ოფისების, ფილიალებისა და მონაცემთა ცენტრების ჩათვლით. | 35 კუბური მეტრი (5250 კგ) | |
| E.48 | | ნარჩენების ინტენსივობა | kg per FTE | საანგარიშგებო წლის განმავლობაში ნარჩენების წარმოქმნის ეფექტიანობა, გაზომილი ერთ სრულ განაკვეთზე დასაქმებულ თანამშრომელზე (FTE):<br>ნარჩენების წარმოქმნის ინტენსივობა (WI) = მთლიანი წარმოქმნილი ნარჩენები / FTE-ების რაოდენობა.<br>კომენტარების ველში აღწერეთ არსებული ტენდენციები და ნარჩენები შემცირების ინიციატივები. | 18.10 | |
| E.49 | | ნარჩენების გადამუშავების მაჩვენებელი | % | საანგარიშგებო წლის განმავლობაში გადამუშავებული ნარჩენების პროცენტული მაჩვენებელი მთლიან წარმოქმნილ ნარჩენებში:<br>გადამუშავების მაჩვენებელი (RR) = (გადამუშავებული ნარჩენები / მთლიანი წარმოქმნილი ნარჩენები) × 100.<br>კომენტარების ველში მიუთითეთ დეტალები გადამუშავების პრაქტიკის შესახებ. | | ვინაიდად ნარჩენების გადამუშავების მიმართულებით ჯერჯერობით არ გაგვიტარებია ქმედითი ღონისძიებები ამ ინფორმაციას ვერ წარმოვადგენთ, თუმცა 2026 წელს ვგეგმავთ ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებას და მომავალ წელს შევძლებთ ამ მონაცემის წარმოდგენას. |
| E.50 | | ქაღალდის გამოყენება | კგ | საანგარიშგებო წლის განმავლობაში ბანკში გამოყენებული ქაღალდის საერთო მოცულობა. | 15,030 | |
| E.51 | | ქაღალდის გამოყენების ინტენსივობა | kg per FTE | საანგარიშგებო წლის განმავლობაში ქაღალდის გამოყენების ეფექტიანობა, გაზომილი ერთ სრულ განაკვეთზე დასაქმებულ თანამშრომელზე (FTE):<br>ქაღალდის გამოყენების ინტენსივობა (PI) = ქაღალდის მთლიანი გამოყენება / FTE-ების რაოდენობა.<br>კომენტარების ველში აღწერეთ არსებული ტენდენციები და ქაღალდის შემცირების ინიციატივები. | 51.83 | |
| E.52 | | ნარჩენების შემცირების მიზნით გაციფრულების ინიციატივები | დიახ/არა | მიუთითეთ, ქაღალდის და საოპერაციო ნარჩენების შესამცირებლად არის თუ არა ბანკში დანერგილი დიგიტალიზაციის/ციფრული სერვისები (მაგ., ელექტრონული ამონაწერები, ელექტრონული კონტრაქტები, უქაღალდო რეგისტრაცია) . | - | 2025 წელს შრომითი ურთიერთობის დოკუმენტების გაციფრულების მიზნით მიკრობანკში დაინერგა Signify - ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმა, რაც ამცირებს ქაღალდის მოხმარებას. ასევე, ბანკში დანერგილი გვაქვს ელექტრონული დოკუმენტების საცავი, ყველა დოკუმენტი გაციფრებულია, რაც დოკუმენტების ბეჭდვის საჭიროებას ამცირებს. |
| E.53 | | ელექტრო ნარჩენები | კგ | საანგარიშგებო წლის განმავლობაში ელექტრო და ელექტრონული ნარჩენების მთლიანი რაოდენობა (მაგ., კომპიუტერები, ტელეფონები, სერვერები), რომელთა უტილიზაცია ან გადამუშავება განხორციელდა. | N/A | მიკრობანკში ელექტრონარჩენების უტილიზაცია არ ხორციელდება. ბანკი კომპიუტერების ან მასთან დაკავშირებულ მოწყობილობებს რეალიზებას ახდენს მეორად ბაზარზე. |
| E.54 | | ელექტრო ნარჩენების ინტენსივობა | kg per FTE | IT აღჭურვილობის სასიცოცხლო ციკლის ეფექტიანობა, გაზომილი ერთ სრულ განაკვეთზე დასაქმებულ თანამშრომელზე (FTE):<br>E-WI = მთლიანი შეგროვებული ელექტრო ნარჩენები / FTE-ების რაოდენობა. | N/A | |
| E.55 | | ნარჩენების მართვის ინიციატივები | დიახ/არა | მიუთითეთ, აქვს თუ არა ბანკს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ინიციატივები დანერგილი/დაგეგმილი (მაგ., ნარჩენების სეპარაცია, დოკუმენტების უსაფრთხო განადგურება, თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების კამპანიები). დადებითი პასუხის შემთხვევაში, აღწერეთ ინიციატივის ტიპი და მასშტაბი (მაგ., საპილოტე, ცენტრალური ოფისის მასშტაბით, სისტემის მასშტაბით). | - | |
| E.56 | **რისკების მართვა და სხვა გარემოსდაცვითი ინდიკატორები** | გარემოსდაცვითი (ეკომეგობრული) ინიციატივები | დიახ/არა | მიუთითეთ, აქვს თუ არა ბანკს დანერგილი გარემოსდაცვითი (ეკომეგობრული) ინიციატივები (მაგ. ელექტრომობილები, მზის პანელები შენობის სახურავზე, მწვანე შესყიდვები, ოფისის თბოიზოლაციის გაუმჯობესება). დადებითი პასუხის შემთხვევაში, კომენტარების ველში აღწერეთ ინიციატივები და მათი მასშტაბი (მაგ., საპილოტე, ფილიალების დონეზე, მთელი კომპანიის მასშტაბით). | No | |
| E.57 | | აკრძალული საქმიანობების სიის მიმართ სკრინინგი | დიახ/არა | მიუთითეთ, ახორციელებს თუ არა ბანკი გარემოსდაცვითი ან ESG საკითხებთან დაკავშირებული აკრძალული საქმიანობების მიმართ სკრინინგს. | Yes | |
| E.58 | | კლიმატთან დაკავშირებული მმართველობითი მზადყოფნა | დიახ/არა | მიუთითეთ, ითვალისწინებს თუ არა ბანკის მმართველობითი ორგანოები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებს (მაგ. ფიზიკური რისკები — წყალდიდობა, სითბური ტალღები, გვალვა; და გარდამავლობის რისკები — პოლიტიკის ცვლილებები, ნახშირბადზე ფასის დაწესება, ტექნოლოგიური ცვლილებები). | No | |
| E.59 | | კლიმატთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინება | დიახ/არა | მიუთითეთ, არის თუ არა კლიმატთან დაკავშირებული რისკები (როგორც ფიზიკური, ისე გარდამავლობის) ინტეგრირებული ბანკის ESG რისკების მართვის ჩარჩოში. | No | |
| E.60 | | კლიმატთან დაკავშირებული რისკ სცენარების გამოყენება | დიახ/არა | მიუთითეთ, ატარებს თუ არა ბანკი კლიმატთან დაკავშირებული რისკების სცენარების ანალიზს ფინანსური რისკების შეფასებისთვის. | No | |
| E.61 | | კლიმატთან დაკავშირებული გარდამავლობის გეგმა | დიახ/არა | მიუთითეთ, აქვს თუ არა ბანკს მიღებული კლიმატთან დაკავშირებული გარდამავლობის ოფიციალური გეგმა (Climate Transition Plan). | No | |
| E.62 | | ბუნებასთან დაკავშირებული მმართველობითი მზადყოფნა | დიახ/არა | მიუთითეთ, ითვალისწინებს თუ არა ბანკის მმართველობითი ორგანოები ბუნებასთან დაკავშირებულ რისკებს (მაგ. ტყეების გაჩეხვა, ბიომრავალფეროვნების კარგვა, წყლის დეფიციტი). | No | |
| E.63 | | ბუნებასთან დაკავშირებული რისკების ინტეგრირება | დიახ/არა | მიუთითეთ, არის თუ არა ბუნებასთან დაკავშირებული რისკები (მაგ. ეკოსისტემების დეგრადაცია, წყლის დეფიციტი, სახეობების გადაშენება) ინტეგრირებული ბანკის ESG რისკების მართვის ჩარჩოში. | No | |
| E.64 | | ბუნებასთან დაკავშირებული რისკ სცენარების გამოყენება | დიახ/არა | მიუთითეთ, ატარებს თუ არა ბანკი სცენარების ანალიზს ბიომრავალფეროვნების დაკარგვასთან ან ეკოსისტემის დეგრადაციასთან დაკავშირებული ფინანსური რისკების შესაფასებლად. | No | |
| E.65 | | გარემოსდაცვითი სტრეს-ტესტი | დიახ/არა | მიუთითეთ, ატარებს თუ არა ბანკი სტრეს-ტესტირებას კლიმატთან ან ბუნებასთან დაკავშირებულ რისკებზე. | No | |
| | | **სოციალური** | | | | |
| S.1 | | საანგარიშგებო წლის განმავლობაში გაცემული სოციალური სესხების მოცულობა (ნაკადი) (ექვივალენტი ლარში) | ლარი | სოციალური სესხი გულისხმობს სესხს, რომელიც შეესაბამება „სოციალურ ტაქსონომიას“, როგორც ეს განსაზღვრულია „მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესში“.<br>იმ შემთხვევაში, თუ ბანკი სოციალურ სესხებს ერთზე მეტ ვალუტაში გასცემს, შესაბამისი მოცულობები მიუთითეთ ცალ-ცალკე ვალუტების მიხედვით.<br>გთხოვთ წინამდებარე დოკუმენტში გამოიყენოთ ტერმინ „სოციალური სესხის“ აღნიშნული განმარტება. | - | |
| S.2 | | | აშშ დოლარი | | | |
| S.3 | | | ევრო | | | |
| S.4 | | | სხვა ვალუტა | | | |
| S.5 | | სოციალური სესხების წილი საანგარიშგებო წლის განმავლობაში გაცემულ მთლიან სესხებში (ნაკადი) | % | | 0 | |
| S.6 | | საანგარიშგებო წლის განმავლობაში გაცემული სხვა სოციალური საფინანსო პროდუქტების (გარანტიები, კონტ-გარანტიები, აკრედიტივები და ა.შ.) მოცულობა (ნაკადი) (ექვივალენტი ლარში) | ლარი | სოციალური საფინანსო პროდუქტი გულისხმობს საფინანსო პროდუქტს, რომელიც შეესაბამება „სოციალურ ტაქსონომიას“, როგორც ეს განსაზღვრულია „მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესში“.<br>იმ შემთხვევაში, თუ ბანკი სოციალურ საფინანსო პროდუქტს ერთზე მეტ ვალუტაში გასცემს, შესაბამისი მოცულობები მიუთითეთ ცალ-ცალკე ვალუტების მიხედვით.<br>გთხოვთ წინამდებარე დოკუმენტში გამოიყენოთ ტერმინ „სოციალური საფინანსო პროდუქტის“ აღნიშნული განმარტება. | - | |
| S.7 | | | აშშ დოლარი | | | |
| S.8 | | | ევრო | | | |
| S.9 | | | სხვა ვალუტა | | | |
| S.10 | | სხვა სოციალური საფინანსო პროდუქტების (გარანტიები, კონტ-გარანტიები, აკრედიტივები და ა.შ.) წილი საანგარიშგებო წლის განვალობაში გაცემულ მთლიან სხვა საფინანსო პროდუქტებში (ნაკადი) | % | | 0 | |
| S.11 | | საანგარიშგებო წლის განმავლობაში გაცემული მდგრადი სესხების მოცულობა (ნაკადი) (ექვივალენტი ლარში) | ლარი | მდგრადი სესხი გულისხმობს სესხს, რომელიც შეესაბამება „მწვანე ტაქსონომიას“ და „სოციალურ ტაქსონომიას“, როგორც ეს განსაზღვრულია „მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესში“.<br>იმ შემთხვევაში, თუ ბანკი მდგრად სესხებს ერთზე მეტ ვალუტაში გასცემს, შესაბამისი მოცულობები მიუთითეთ ცალ-ცალკე ვალუტების მიხედვით.<br>გთხოვთ წინამდებარე დოკუმენტში გამოიყენოთ ტერმინ „მდგრადი სესხის“ აღნიშნული განმარტება. | - | |
| S.12 | | | აშშ დოლარი | | | |
| S.13 | | | ევრო | | | |
| S.14 | | | სხვა ვალუტა | | | |
| S.15 | | მდგრადი სესხების წილი საანგარიშგებო წლის განმავლობაში გაცემულ მთლიან სესხებში (ნაკადი) | % | | 0 | |
| S.16 | | საანგარიშგებო წლის განმავლობაში გაცემული სხვა მდგრადი საფინანსო პროდუქტების (გარანტიები, კონტრ-გარანტიები აკრედიტივები და ა.შ.) მოცულობა (ნაკადი) (ექვივალენტი ლარში) | ლარი | მდგრადი საფინანსო პროდუქტი გულისხმობს საფინანსო პროდუქტს, რომელიც შეესაბამება „მწვანე ტაქსონომიას“ და „სოციალურ ტაქსონომიას“, როგორც ეს განსაზღვრულია „მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესში“.<br>იმ შემთხვევაში, თუ ბანკი მდგრად საფინანსო პროდუქტს ერთზე მეტ ვალუტაში გასცემს, შესაბამისი მოცულობები მიუთითეთ ცალ-ცალკე ვალუტების მიხედვით.<br>გთხოვთ წინამდებარე დოკუმენტში გამოიყენოთ ტერმინ „მდგრადი საფინანსო პროდუქტის“ აღნიშნული განმარტება. | - | |
| S.17 | | | აშშ დოლარი | | | |
| S.18 | | | ევრო | | | |
| S.19 | | | სხვა ვალუტა | | | |
| S.20 | | სხვა მდგრადი საფინანსო პროდუქტების (გარანტიები, კონტრ-გარანტიები, აკრედიტივები და ა.შ.) წილი საანგარიშგებო წლის განვალობაში გაცემულ მთლიან სხვა საფინანსო პროდუქტებში (ნაკადი) | % | | 0 | |
| S.21 | | საანგარიშგებო წლის განმავლობაში ქალ მეწარმეებზე გაცემული სესხების მოცულობა (ნაკადი) (ექვივალენტი ლარში) | ლარი | ქალი მეწარმე, როგორც ეს განსაზღვრულია „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ხ“ ქვეპუნქტით.<br>გთხოვთ, წინამდებარე დოკუმენტში გამოიყენოთ ტერმინ „ქალი მეწარმის“ აღნიშნული განმარტება . | 17605970 | |
| S.22 | | | აშშ დოლარი | | | |
| S.23 | | | ევრო | | | |
| S.24 | | | სხვა ვალუტა | | | |
| S.25 | | ქალ მეწარმეებზე გაცემული სესხების წილი საანგარიშგებო წლის განმავლობაში გაცემულ მთლიან სესხებში (ნაკადები) | % | | 10.01 | |
| S.26 | | საანგარიშგებო წლის ბოლოს სოციალური სესხების მთლიანი მოცულობა (ნაშთი) (ექვივალენტი ლარში) | ლარი | | - | |
| S.27 | | | აშშ დოლარი | | | |
| S.28 | | | ევრო | | | |
| S.29 | | | სხვა ვალუტა | | | |
| S.30 | | საანგარიშგებო წლის ბოლოს სოციალური სესხების წილი მთლიან პორტფელში (ნაშთი) | % | | 0 | |
| S.31 | | საანგარიშგებო წლის ბოლოს სხვა სოციალური საფინანსო პროდუქტების (გარანტიები, კონტრ-გარანტიები, აკრედიტივები) მთლიანი მოცულობა (ნაშთი) (ექვივალენტი ლარში) | ლარი | | - | |
| S.32 | | | აშშ დოლარი | | | |
| S.33 | | | ევრო | | | |
| S.34 | | | სხვა ვალუტა | | | |
| S.35 | | საანგარიშგებო წლის ბოლოს სხვა სოციალური საფინანსო პროდუქტების (გარანტიები, კონტრ-გარანტიები, აკრედიტივები და ა.შ.) წილი მთლიან პორტფელში (ნაშთი) | % | | 0 | |
| S.36 | | საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგრადი სესხების მთლიანი მოცულობა (ნაშთი) (ექვივალენტი ლარში) | ლარი | | - | |
| S.37 | | | აშშ დოლარი | | | |
| S.38 | | | ევრო | | | |
| S.39 | | | სხვა ვალუტა | | | |
| S.40 | | საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგრადი სესხების წილი მთლიან პორტფელში (ნაშთი) | % | | | |
| S.41 | | საანგარიშგებო წლის ბოლოს სხვა მდგრადი საფინანსო პროდუქტების (გარანტიების, კონტრ-გარანტიები, აკრედიტივების) მთლიანი მოცულობა (ნაშთი) (ექვივალენტი ლარში) | ლარი | | - | |
| S.42 | | | აშშ დოლარი | | | |
| S.43 | | | ევრო | | | |
| S.44 | | | სხვა ვალუტა | | | |
| S.45 | | საანგარიშგებო წლის ბოლოს სხვა მდგრადი საფინანსო პროდუქტების (გარანტიები, კონტრ-გარანტიები, აკრედიტივები და ა.შ.) წილი მთლიან პორტფელში (ნაშთი) | % | | 0 | |
| S.46 | **სოციალური/ მდგრადი საფინანსო პროდუქტები** | საანგარიშგებო წლის ბოლოს ქალ მეწარმეებზე გაცემული სესხების მთლიანი მოცულობა (ნაშთი) (ექვივალენტი ლარში) | ლარი | | 17,849,854.00 | |
| S.47 | | | აშშ დოლარი | | | |
| S.48 | | | ევრო | | | |
| S.49 | | | სხვა ვალუტა | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **S.50** | | საანგარიშგებო წლის ბოლოს ქალ მეწარმეებზე გაცემული სესხების წილი მთლიან სესხებში (ნაშთი) | % | | 11.47 | |
| **S.51** | | სოციალური/მდგრადი/მდგრადობასთან დაკავშირებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების მოცულობა საანგარიშგებო წლის ბოლოს (ექვივალენტი ლარში) | ლარი | სოციალურ/მდგრადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები გულისხმობს საინვესტიციო ინსტრუმენტებს (როგორიცაა აქციები, სავალო ინსტრუმენტები ან ფონდის წილები), რომლებიც ექსკლუზიურად ხმარდება ახალი ან/და არსებული პროექტების დაფინანსებას ან რეფინანსირებას, რომლებიც შეესაბამება სოციალურ ან მდგრად ტაქსონომიებს (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულს ან ისეთ საერთაშორისო სტანდარტებს, როგორიცაა ICMA-ს სოციალური ობლიგაციების პრინციპები ან ICMA-ს მდგრადი ობლიგაციების სახელმძღვანელო).<br>მდგრადობასთან დაკავშირებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები გულისხმობს საინვესტიციო ინსტრუმენტებს (როგორიცაა აქციები, სავალო ინსტრუმენტები ან ფონდის წილები), რომელთა ფინანსური ან სტრუქტურული მახასიათებლები დაკავშირებულია ემიტენტის მიერ წინასწარ განსაზღვრული ESG/მდგრადობასთან დაკავშრებული მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევასთან (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულს ან ისეთ საერთაშორისო სტანდარტებს, როგორიცაა ICMA-ს მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების პრინციპები).<br>გთხოვთ წინამდებარე დოკუმენტში გამოიყენოთ ტერმინ „სოციალური/მდგრადი/მდგრადობასთან დაკავშირებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების" აღნიშნული განმარტება. | - | |
| **S.52** | | საანგარიშგებო წლის ბოლოს სოციალური/მდგრადი/მდგრადობასთან დაკავშირებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების წილი მთლიან საინვესტიციო ფასიან ქაღალდებში | % | | - | |
| **S.53** | | საანგარიშგებო წლის განმავლობაში გამოშვებული სოციალური/მდგრადი/მდგრადობასთან დაკავშირებული სავალო ფასიანი ქაღალდების მოცულობა (ექვივალენტი ლარში) | ლარი | სოციალური, მდგრადი და მდგრადობასთან დაკავშირებული სავალო ფასიანი ქაღალდები გულისხმობს სავალო ინსტრუმენტებს (ობლიგაციებს), რომლებსაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიენიჭა შესაბამისი სტატუსი „წვანე, სოციალური, მდგრადობის და მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების სტატუსის მინიჭების, შენარჩუნების და გაუქმების წესის" შესაბამისად. აღნიშნული ასევე მოიცავს ადგილობრივ ან საერთაშორისო ბაზრებზე განთავსებულ ფასიან ქაღალდებს, რომლებიც შეესაბამება აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის ICMA-ს სოციალური ობლიგაციების პრინციპებს, ICMA-ს მდგრადი ობლიგაციების სახელმძღვანელოს ან ICMA-ს მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების პრინციპებს.<br>გთხოვთ წინამდებარე დოკუმენტში გამოიყენოთ ტერმინ „სოციალური/მდგრადი/მდგრადობასთან დაკავშირებული სავალო ფასიანი ქაღალდების" აღნიშნული განმარტება. | - | |
| **S.54** | | საანგარიშგებო წლის განმავლობაში გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებში სოციალური/მდგრადი/მდგრადობასთან დაკავშირებული სავალო ფასიანი ქაღალდების წილი | % | | - | |
| **S.55** | | საანგარიშგებო წლის ბოლოს სოციალური/მდგრადი/მდგრადობასთან დაკავშირებული სავალო ფასიანი ქაღალდების მოცულობა (ნაშთი) (ექვივალენტი ლარში) | ლარი | | - | |
| **S.56** | | საანგარიშგებო წლის ბოლოს მთლიან გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებში სოციალური/მდგრადი/მდგრადობასთან დაკავშირებული სავალო ფასიანი ქაღალდების წილი | % | | - | |
| **S.57** | | უმოქმედო სოციალური სესხების კოეფიციენტი | % | საანგარიშგებო წლის ბოლოს, უმოქმედო სოციალური სესხების წილი მთლიან სოციალურ სესხებში:<br>უმოქმედო სოციალური სესხების კოეფიციენტი (Social NPL Ratio) = (S3+POCI)/((S1+S2+S3+POCI)*100, სადაც:<br>S1 - პირველი დონის სოციალური სესხები; S2 - მეორე დონის სოციალური სესხები; S3 - მესამე დონის სოციალური სესხები; და POCI - შესყიდული ან საკრედიტო ზარალით გაუფასურებული სოციალური სესხები. | - | |
| **S.58** | | უმოქმედო მდგრადი სესხების კოეფიციენტი | % | საანგარიშგებო წლის ბოლოს, უმოქმედო მდგრადი სესხების წილი მთლიან მდგრად სესხებში:<br>უმოქმედო მდგრადი სესხების კოეფიციენტი (Sustainable NPL Ratio) = (S3+POCI)/((S1+S2+S3+POCI)*100, სადაც:<br>S1 - პირველი დონის მდგრადი სესხები; S2 - მეორე დონის მდგრადი სესხები; S3 - მესამე დონის მდგრადი სესხები; და POCI - შესყიდული ან საკრედიტო ზარალით გაუფასურებული მდგრადი სესხები. | - | |
| **S.59** | | ქალ მეწარმეებზე გაცემული უმოქმედო სესხების კოეფიციენტი | % | საანგარიშგებო წლის ბოლოს, ქალი მეწარმეების უმოქმედო სესხების წილი ქალი მეწარმეების მთლიან სესხებში:<br>ქალ მეწარმეებზე გაცემული უმოქმედო სესხების კოეფიციენტი (WE NPL Ratio) = (S3+POCI)/((S1+S2+S3+POCI)*100, სადაც:<br>S1 - პირველი დონის სესხები; S2 - მეორე დონის სესხები; S3 - მესამე დონის სესხები; და POCI - შესყიდული ან საკრედიტო ზარალით გაუფასურებული სესხები.<br>(აქ სესხები გულისხმობს ქალ მეწარმეებზე გაცემულ სესხებს). | 0.13 | |
| **S.60** | | სოციალური აქტივების კოეფიციენტი | % | სოციალური აქტივების წილი (სესხები, ობლიგაციები, ფასიანი ქაღალდები და ა.შ.) მთლიან აქტივებთან მიმართებაში:<br>SAR= სოციალური აქტივები / მთლიანი აქტივები ×100 | 0 | |
| **S.61** | | მდგრადი აქტივების კოეფიციენტი | % | მდგრადი აქტივების წილი (სესხები, ობლიგაციები, ფასიანი ქაღალდები და ა.შ.) მთლიან აქტივებთან მიმართებაში:<br>SuSAR= მდგრადი აქტივები / მთლიანი აქტივები ×100 | 0 | |
| **S.62** | | სოციალური სესხების მიზნობრივი მაჩვენებელი | % | სოციალური სესხების მიზნობრივი მაჩვენებელი გულისხმობს რაოდენობრივ მიზანს, რომელიც გამოხატულია როგორც პროცენტული წილი მთლიან სასესხო პორტფელში. | 0 | |
| **S.63** | | მდგრადი სესხების მიზნობრივი მაჩვენებელი | % | მდგრადი სესხების მიზნობრივი მაჩვენებელი გულისხმობს რაოდენობრივ მიზანს, რომელიც გამოხატულია როგორც პროცენტული წილი მთლიან სასესხო პორტფელში. | 0 | |
| **S.64** | | ქალ მეწარმეებზე გაცემული სესხების მიზნობრივი მაჩვენებელი | % | ქალ მეწარმეებზე გაცემული სესხების მიზნობრივი მაჩვენებელი გულისხმობს რაოდენობრივ მიზანს, რომელიც გამოხატულია როგორც პროცენტული წილი მთლიან სასესხო პორტფელში. | 0 | |
| **S.65** | **თანამშრომელთა მრავალფეროვნება** | მრავალფეროვნების პოლიტიკა მმართველობითი ორგანოსთვის | დიახ/არა | მიუთითეთ, აქვს თუ არა ბანკს მრავალფეროვნების ოფიციალური პოლიტიკა, რომელიც ვრცელდება სამეთვალყურეო საბჭოზე და/ან დირექტორატზე/აღმასრულებელ მენეჯმენტზე. დადებითი პასუხის შემთხვევაში, კომენტარების ველში მიუთითეთ პოლიტიკის მოქმედების ფარგლები და აღსრულების მექანიზმები. | - | მიკრობანკი ოპერირებს ეროვნული ბანკის "კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის" შესაბამისად და ითვალისწინებს აღნიშნული კოდექსის მოთხოვნებს მმართველობითი ორგანოებში მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით. |
| **S.66** | | ქალთა წილი სამეთვალყურეო საბჭოში | % | საანგარიშგებო წლის ბოლოს სამეთვალყურეო საბჭოში ქალების პროცენტული მაჩვენებელი. | 33% | |
| **S.67** | | ქალთა წილი უმაღლესს მენეჯმენტში | % | საანგარიშგებო წლის ბოლოს ქალთა წილი უმაღლესი მენეჯმენტის შემადგენლობაში, მათ შორის დირექტორატის წევრებსა და სხვა C-დონის პოზიციებზე. | 50% | |
| **S.68** | | ქალთა წილი საშუალო რგოლის მენეჯმენტში | % | საანგარიშგებო წლის ბოლოს ქალთა პროცენტული წილი საშუალო რგოლის მენეჯმენტის პოზიციებზე. საშუალო რგოლის მენეჯმენტი განსაზღვრეთ ბანკის შიდა კლასიფიკაციის შესაბამისად. | 54% | 41 მენეჯერი, აქედან 22 ქალი; |
| **S.69** | | ქალთა წილი მთლიან პერსონალში | % | საანგარიშგებო წლის ბოლოს ქალთა პროცენტული წილი თანამშრომელთა მთლიან რაოდენობაში. | 70% | |
| **S.70** | | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) თანამშრომლები | % | საანგარიშგებო წლის ბოლოს იმ თანამშრომელთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც საკუთარ თავს მიაკუთვნებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კატეგორიას, ადგილობრივი საკანონმდებლო ან შიდა HR დეფინიციების შესაბამისად. | 0.34% | |
| **S.71** | | შშმ პირთა ინკლუზიური დასაქმების პროგრამა | დიახ/არა | მიუთითეთ, აქვს თუ არა ბანკს მიღებული ინკლუზიური დასაქმების პოლიტიკა ან სპეციალური პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებას. დადებითი პასუხის შემთხვევაში, კომენტარების ველში აღწერეთ არსებული პოლიტიკის ან/და პროგრამების მასშტაბი (მაგ., დასაქმების მიზნობრივი მაჩვენებლები, ხელმისაწვდომი დასაქმების პლატფორმები), მხარდაჭერის ღონისძიებები და მიღწეული პროგრესი. | No | |
| **S.72** | | თანამშრომელთა ასაკობრივი განაწილება საანგარიშგებო წლის ბოლოს | თანამშრომელთა რაოდენობა ასაკობრივ ჯგუფში | <20 | 1 | |
| **S.73** | | | | 20-30 | 119 | |
| **S.74** | | | | 30-40 | 124 | |
| **S.75** | | | | 40-50 | 40 | |
| **S.76** | | | | >50 | 6 | |
| **S.77** | | გენდერული სახელფასო სხვაობა | % | პროცენტული სხვაობა ყველა ქალი და ყველა კაცი თანამშრომლის საშუალო წლიურ ანაზღაურებას შორის:<br>გენდერული სახელფასო სხვაობა = (კაცების საშ. ანაზღაურება – ქალების საშ. ანაზღაურება) / კაცების საშ. ანაზღაურება × 100.<br>„ანაზღაურება" = „მთლიანი წლიური ანაზღაურება", რომელიც გულისხმობს საანგარიშგებო წლის განმავლობაში თანამშრომლისთვის დარიცხულ ყველა სახის კომპენსაციას. ეს მოიცავს ფიქსირებულ ანაზღაურებას (ძირითადი ხელფასი), ცვლად ანაზღაურებას (ბონუსები, საკომისიოები, ზეგანაკვეთური შრომა), დანამატებს (ტრანსპორტირება, ბინის ქირა) და ბენეფიტების ფულად ღირებულებას (საპენსიო შენატანები, დაზღვევა, აქციებზე დაფუძნებული გადახდები). იგი არ მოიცავს დამსაქმებლის მიერ გადახდილ გადასახადებს, დივიდენდებს და ერთჯერად გადახდებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული სამუშაოს შესრულებასთან ან სამსახურებრივ საქმიანობასთან (მაგ. კომპენსაცია სამსახურიდან გათავისუფლებისას ან რელოკაციის | 29 | |
| **S.78** | | გენდერული სახელფასო სხვაობა თანაბარი პოზიციებისთვის | % | გენდერული სახელფასო სხვაობა თანაბარი პოზიციებისთვის (კორექტირებული) – პროცენტული სხვაობა საშუალო წლიურ მთლიან ანაზღაურებას შორის იმ ქალ და კაც თანამშრომლებს შორის, რომლებიც ასრულებენ ერთსა და იმავე ან თანაბარი ღირებულების სამუშაოს (მაგ. ერთსა და იმავე იერარქიულ საფეხურზე, პოზიციაზე ან ფუნქციურ ჯგუფში). კორექტირებული საშუალო მაჩვენებლები უნდა გაიანგარიშდეს იმავე ან მსგავსი რანგის, ფუნქციის ან როლის მქონე თანამშრომლების შედარებით, ხოლო მიღებული შედეგები უნდა დაჯამდეს საერთო შეწონვის სტრუქტურის გამოყენებით.<br>გენდერული სახელფასო სხვაობა თანაბარი პოზიციებისთვის = (კაცების კორექტირებული საშუალო მთლიანი ანაზღაურება – ქალების კორექტირებული საშუალო მთლიანი ანაზღაურება) / კაცების კორექტირებული საშუალო მთლიანი ანაზღაურება × 100;<br>სადაც:<br>კაცების/ქალების კორექტირებული საშუალო ანაზღაურება = ∑ (კაცების/ქალების საშუალო ანაზღაურება i ჯგუფში × i ჯგუფის წონა),<br>i = სამუშაო რანგი, ფუნქცია ან თანამშრომელთა შესაბამისი ჯგუფი;<br>i ჯგუფის წონა = ამ ჯგუფში დასაქმებულთა წილი მთლიან პერსონალთან მიმართებაში. | 7 | |
| **S.79** | **თანამშრომელთა განვითარება, კმაყოფილება და შენარჩუნება** | ტრენინგების მოცვის მაჩვენებელი | % | მიუთითეთ საანგარიშგებო წლის განმავლობაში გადამზადებული თანამშრომლების წილი პერსონალის მთლიან რაოდენობაში. | 100% | 264 -მა თანამშრომელმა გაიარა გარე ტრენინგი - 290 ; შიდა ტრენინგი 336 -მა თანამშრომელმა. |
| **S.80** | | საშუალო წლიური ტრენინგის საათები | საათები | მიუთითეთ საანგარიშგებო წლის განმავლობაში საშუალო წლიური ტრენინგის საათები ერთ სრულ განაკვეთზე დასაქმებულ თანამშრომელზე (FTE). | 0.165517241 | |
| **S.81** | | ტრენინგზე გაწეული ხარჯი | ლარი | მიუთითეთ საანგარიშგებო წლის განმავლობაში ერთ თანამშრომელზე ტრენინგსა და განვითარებაზე გაწეული საშუალო წლიური ხარჯი. მოიცავს როგორც შიდა, ისე გარე ტრენინგების ხარჯებს. | 284.62 | |
| **S.82** | | ESG საკითხების ინტეგრირება თანამშრომელთა სასწავლო პროგრამებში | დიახ/არა | მიუთითეთ, არის თუ არა ESG ან მდგრადობის საკითხები ინტეგრირებული თანამშრომელთა მომზადების პროგრამებში (მაგ. ახალი თანამშრომლების ორიენტაცია, ყოველწლიური გადამზადება). დადებითი პასუხის შემთხვევაში, კომენტარების ველში აღწერეთ ტრეინინგის შინაარსი, სამიზნე აუდიტორია (მაგ., ყველა თანამშრომელი, მენეჯმენტი) და სიხშირე. | - | |
| **S.83** | | შიდა დაწინაურების მაჩვენებელი | % | საანგარიშგებო წლის განმავლობაში შიდა კანდიდატებით შევსებული ვაკანსიების პროცენტული მაჩვენებელი. | 9.66% | |
| **S.84** | | თანამშრომელთა დენადობის მაჩვენებელი | % | საანგარიშგებო წლის განმავლობაში ბანკიდან წასული თანამშრომლების წილი.<br>წლიური დენადობის მაჩვენებელი = (სამსახურიდან წასულ თანამშრომელთა რაოდენობა)/ (თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა) x 100;<br>სადაც, თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა = (წლის დასაწყისში თანამშრომელთა რაოდენობა + წლის ბოლოს თანამშრომელთა რაოდენობა) / 2 | 18.48% | |
| **S.85** | | თანამშრომელთა ბანკში მუშაობის საშუალო ხანგრძლივობა | წლები | საანგარიშგებო წლის ბოლოს თანამშრომელთა ბანკში მუშაობის საშუალო ხანგრძლივობა (წლები):<br>საშუალო შრომითი სტაჟი = დასაქმებულთა ბანკში სამუშაო სტაჟის ჯამი / მიმდინარე თანამშრომელთა საერთო რაოდენობა | 3.2 | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| S.86 | | თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა | დიახ/არა | მიუთითეთ, ატარებს თუ არა ბანკი თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევას. | Yes | |
| S.87 | | თანამშრომელთა საერთო კმაყოფილების მაჩვენებელი | % | იმ თანამშრომელთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც დააფიქსირეს პასუხი „კმაყოფილი" ან „ძალიან კმაყოფილი" (ან ექვივალენტური პოზიტიური პასუხი). კომენტარების ველში მიუთითეთ შეფასების მეთოდოლოგიის აღწერა. | N/A | |
| S.88 | | მოქნილი სამუშაო პირობები/გრაფიკი | დიახ/არა | მიუთითეთ, არის თუ არა ხელმისაწვდომი მუშაობის მოქნილი გრაფიკი/ სამუშაო პირობები (მაგ. დისტანციური მუშაობა, მოქნილი საათები). დადებითი პასუხის შემთხვევაში, კომენტარების ველში მიუთითეთ ამ შესაძლებლობით მოსარგებლე თანამშრომელთა პროცენტული მაჩვენებელი. | - | |
| S.89 | | დეკრეტული შვებულების გამოყენება | რიცხვი | იმ თანამშრომელთა საერთო რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს დეკრეტული შვებულებით საანგარიშგებო წლის განმავლობაში. შესაძლებლობის შემთხვევაში, მონაცემები დაყავით გენდერული ნიშნით. | 22 | |
| S.90 | | დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობა | დღეების რაოდენობა | დეკრეტული შვებულების საშუალო ხანგრძლივობა ერთ თანამშრომელზე. კომენტარების ველში მიუთითეთ არსებული პოლიტიკა ან მხარდაჭერის მექანიზმები. | 447 | |
| S.91 | **შრომითი უფლებები** | ბავშვთა და იძულებითი შრომის აკრძალვის პოლიტიკა | დიახ/არა | მიუთითეთ, აქვს თუ არა ბანკს პოლიტიკა, რომელიც კრძალავს ბავშვთა და იძულებით შრომას. კომენტარების ველში აღწერეთ, როგორ ხდება ამ პოლიტიკის კომუნიკაცია, აღსრულება და გადახედვა. | No | |
| S.92 | | ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა | დიახ/არა | მიუთითეთ, აქვს თუ არა ბანკს ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა, რომელიც ფარავს რასას, სქესს, რელიგიას, შესაძლებლობის შეზღუდვას ან სხვა ნიშნებს. კომენტარების ველში აღწერეთ პოლოტიკის განხორციელების, კომუნიკაციისა და აღსრულების მექანიზმები. | Yes | 2025 წელს მიკრობანკში შემუშავების პროცესში იყო „დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკა", რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას ყველა ნიშნით და ვრცელდება როგორც თანამშრომლებსა და სამუშაოს მაძიებლებზე, ისე მომხმარებლებსა და სხვა მესამე პირებზე. აღნიშნული დოკუმენტი შემდეგ წელს დამტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. დოკუმენტი ასახავს დისკრიმინაციის ან/და სექსუალური შევიწროების ფაქტთან დაკავშირებით საჩივრის წარდგენის ეტაპებს. პოლიტიკის დოკუმენტში დეტალურადაა განმარტებული გამოყენებული ტერმინოლოგიები, ასევე წარმოდგენილია პროცედურების და მექანიზმების დეტალური აღწერა, მითითებულია ელ.ფოსტის მისამართები და ყველა სხვა შესაძლო ინფორმაცია, რაც სავარაუდო მსხვერპლს დაეხმარება შეტყობინების გაკეთების ან/და საჩივრის წარდგენის პროცესში. ამასთანავე პოლიტიკის დოკუმენტის ერთი თავი სრულად ეთმობა პოლიტიკის დანერგვისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს (ონლაინ და ოფლაინ ფორმატით). |
| S.93 | | შრომის სტანდარტებთან შესაბამისობა | დიახ/არა | მიუთითეთ, შეესაბამება თუ არა ბანკის საქმიანობა ადგილობრივ შრომის კანონმდებლობასა (შრომის კოდექსი) და საერთაშორისო სტანდარტებს (მაგ. ILO - შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია). კომენტარების ველში აღწერეთ შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმები (მაგ. აუდიტი, ტრენინგი). | Yes | მიკრობანკის საქმიანობა შეესაბამება საქართველოს მოქმედ "შრომის კოდექსს". ბანკი უზრუნველყოფს სამართლიან შრომით პრაქტიკას, დისკრიმინაციის დაუშვებლობას, უსაფრთხო სამუშაო გარემოს და თანამშრომელთა უფლებების დაცვას, რაც რეგულირდება ბანკში მოქმედი შიდა დოკუმენტებით, მათ შორის შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკით.<br>ბანკში ფუნქციონირებს შიდა კომუნიკაციისა და საჩივრების სისტემა თანამშრომლებისთვის, რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა ჩართულობას და შრომითი საკითხების დროულ და ეფექტიან გადაწყვეტას.<br>გარდა ამისა, შრომითი საქმიანობის შესაბამისობა რეგულარულად მოწმდება შიდა აუდიტის მიერ, რაც უზრუნველყოფს მოქმედ კანონმდებლობასთან და შიდა პოლიტიკებთან შესაბამისობას [illegible] |
| S.94 | | შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა | დიახ/არა | მიუთითეთ, აქვს თუ არა ბანკს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ოფიციალური პოლიტიკა. | Yes | |
| S.95 | | ტრენინგი შრომით უფლებებზე / ადამიანის უფლებებზე | დიახ/არა | მიუთითეთ, არის თუ არა შრომითი უფლებები და ადამიანის უფლებები თანამშრომელთა ტრენინგის ნაწილი. | No | |
| S.96 | | შრომით დავებთან დაკავშირებული საჩივრების მექანიზმი | დიახ/არა | მიუთითეთ, აქვს თუ არა ბანკს შრომით საკითხებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის ოფიციალური მექანიზმი. | Yes | |
| S.97 | | შრომით უფლებებთან დაკავშირებული საჩივრების რაოდენობა | რიცხვი | მიუთითეთ საანგარიშგებო წლის განმავლობაში შრომით უფლებებთან (მაგ. სამუშაო პირობები, შევიწროება, დისკრიმინაცია) დაკავშირებით მიღებული საჩივრებისა თუ პრეტენზიების რაოდენობა. | 1 | |
| S.98 | | შრომითი უფლებების ასახვა მომწოდებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში | დიახ/არა | მიუთითეთ, არის თუ არა შრომითი უფლებები (მაგ. სამართლიანი ანაზღაურება, სამუშაო პირობები) გათვალისწინებული მომწოდებლებთან/კონტრაქტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. კომენტარების ველში აღწერეთ, როგორ ხდება ამ პირობების მონიტორინგი და აღსრულება. | No | |
| S.99 | **მომხმარებელთა კმაყოფილება და ლოიალობა** | მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა | დიახ/არა | მიუთითეთ, ატარებს თუ არა ბანკი მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევას. კომენტარების ველში აღწერეთ კვლევების სიხშირე და შედეგები. | Yes | კვლევა ტარდება წელიწადში ერთხელ, 2025 წლის შედეგი იყო 85% |
| S.100 | | მომხმარებელთა შენარჩუნების მაჩვენებელი | % | მიუთითეთ საანგარიშგებო წლის განმავლობაში შენარჩუნებული მომხმარებლების პროცენტული წილი.<br>შენარჩუნების მაჩვენებელი = ((მომხმარებელთა რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს - საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეძენილი ახალი მომხმარებლები) / მომხმარებლების რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში) × 100<br>„მომხმარებლები" მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს და გულისხმობს მხოლოდ აქტიურ კლიენტებს — ანუ მათ, ვისაც საანგარიშგებო პერიოდში ჰქონდათ მინიმუმ ერთი აქტიური საფინანსო პროდუქტი. | 98 | |
| S.101 | | მომხმარებელთა საჩივრების რაოდენობა | რიცხვი, 1000 მომხმარებელზე | მიუთითეთ საანგარიშგებო წლის განმავლობაში მიღებული საჩივრების საერთო რაოდენობა, ნორმალიზებული ყოველ 1,000 აქტიურ მომხმარებელზე:<br>საჩივრების მაჩვენებელი = (საჩივრების საერთო რაოდენობა / აქტიურ მომხმარებელთა საერთო რაოდენობა) x 1,000<br>საჩივრები მოიცავს მომხმარებელთა პრეტენზიების ყველა ტიპს, რომლებიც მიღებულია ბანკის ნებისმიერი ოფიციალური არხით, მათ შორის: ფილიალებით, ქოლ-ცენტრით, ელექტრონული ფოსტით, ონლაინ პლატფორმებით, მობილური ბანკინგით, ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადმოგზავნილი შეტყობინებებით. | 1.2 | |
| S.102 | | მონაცემთა კონფიდენციალურობის დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრები | რიცხვი, 1000 მომხმარებელზე | მიუთითეთ საანგარიშგებო წლის განმავლობაში მომხმარებელთა მონაცემების კონფიდენციალურობის დარღვევასთან დაკავშირებით მიღებული საჩივრების რაოდენობა, ნორმალიზებული ყოველ 1,000 აქტიურ მომხმარებელზე.<br>კონფიდენციალურობის საჩივრების მაჩვენებელი = (კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული საჩივრების საერთო რაოდენობა / აქტიურ მომხმარებელთა საერთო რაოდენობა) x 1,000<br>„მომხმარებელთა კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული საჩივრები" მოიცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევასთან დაკავშირებულ ყველა პრეტენზიას, რომლებიც მიღებულია ბანკის ნებისმიერი ოფიციალური არხით, მათ შორის: ფილიალებით, ქოლ-ცენტრით, ელექტრონული ფოსტით, ონლაინ პლატფორმებით, მობილური ბანკინგით, მონიტორინგის ქვეშ მყოფი სოციალური მედიით ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადმოგზავნილი შეტყობინებებით. | 0 | |
| S.103 | | სერვისების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთათვის | დიახ/არა | მიუთითეთ, აქვს თუ არა ბანკს დანერგილი პოლიტიკა ან ზომები ფიზიკური ობიექტების, ციფრული პლატფორმების (მაგ. ვებგვერდები, მობილური აპლიკაციები) და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. კომენტარების ვერლში აღწერეთ ძირითადი მახასიათებლები და განხორციელებული აქტივობები. | No | |
| S.104 | | ციფრული სერვისების გამოყენების მაჩვენებელი | % | მიუთითეთ ციფრული არხების (მაგ. მობილურ ბანკინგი, ინტერნეტ ბანკინგი) მომხმარებელთა წილი მომხმარებელთა საერთო რაოდენობაში. | 0 | |
| S.105 | **დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ფინანსური ჩართულობა** | ადგილობრივი თემის განვითარებაში ინვესტიცია | დიახ/არა | მიუთითეთ, შეიტანა თუ არა ბანკმა წვლილი ადგილობრივი თემის განვითარებაში. კომენტარების ველში მოიყვანეთ მხარდაჭერილი პროექტების ან პროგრამების მაგალითები. | Yes | ემბისი კოპრორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში მხარს უჭერს ადგილობრივი თემის განვითარების სხვადასხვა ინიციატივებს. მიკრობანკი უზრუნველყოფს, როგორც პირდაპირი პარტნიორული პროექტების განხორციელებას, ისე სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ორგანიზაციასთან ერთად თემის გაძლიერების ინიციატივებში ჩართულობას. მიკრობანკი 2018 წლიდან ქალთა გაძლიერების პრინციპების (WEPs) აქტიური ხელმომწერია. ამ წლების განმავლობაში კომპანია უწყვეტად ახორციელებს ინიციატივებს, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას, როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე მის გარეთ. 2025 წელს ემბისიმ მხარი დაუჭირა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ინიცირებულ მეწარმე ქალების პროდუქციის მასშტაბურ გამოფენა-გაყიდვას, ფინანსური კონტრიბუციით. გამოფენაზე საკუთარი პროდუქცია წარადგინა 200-მდე მეწარმე ქალმა სხვადასხვა რეგიონიდან. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, დაეთვალიერებინათ და ადგილზევე შეეძინათ მათ მიერ შექმნილი ნაწარმი - საკვები, ღვინო, საჩუქრები, სათამაშოები, აქსესუარები, ხელნაკეთი ნივთები, სილამაზისა და თავის მოვლის საშუალებები. გამოფენა თავის მხრივ ეხმარება სხვადასხვა თემის წარმომადგენლებს ფინასნური კეთილდღეობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაში. ემბისი ასევე აქტიურადაა ჩართული ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების პროგრამაში "ფინედუ", რომლის ფარგლებშიც 2025 წელს 10 სკოლის 300-მდე მოსწავლესთან შედგა შეხვედრა. ემბისი ასევე საქართველოს საწყლოსნო სპორტის სახეობათა ფედერაციის ყოველწლიური ფინანსური მხარდამჭერია და ხელს უწყობს თემში საწყლოსნო სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზებას. 2025 წელს ბანკმა ფინანსური კონტრიბუცია გაიღო ფედერაციის მხარადასაჭერად. ამასთანავე უნდა აღინიშნოს რომ ემბისი ცდილობს თანამშრომლებისთვის წამახალისებელი, კორპორაციული ხასიათის საჩუქრების შეძენისას უპირატესობა მიანიჭოს სოციალურ საწარმოების და განსაკუთრებით ქალი მეწარმეების პროდუქციას. 2025 წელს ბანკმა ითანამშრომლა სოციალური საწარმო "დედიკოსთან". |
| S.106 | | ფინანსური ჩართულობის ინიციატივები | დიახ/არა | მიუთითეთ, ახორციელებს თუ არა ბანკი ინიციატივებს ფინანსურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად ნაკლებად უზრუნველყოფილი, მოწყვლადი ან მანამდე საბანკო მომსახურების არმქონე ჯგუფებისთვის. კომენტარების ველში აღწერეთ ამ ინიციატივების მასშტაბი, სამიზნე ჯგუფები და მიწოდების არხები (მაგ. მობილური ან ონლაინ ბანკინგი, მიკრო და SME დაფინანსება, სპეციალურად სოფლის მოსახლეობისთვის, ქალებისთვის, ახალგაზრდებისთვის ან შშმ პირებისთვის მორგებული პროდუქტები და სხვა ინკლუზიური მომსახურების მოდელები). | - | |
| S.107 | | ფინანსური ჩართულობის ინიციატივების შედეგები | რიცხვი | მიუთითეთ საანგარიშგებო წლის განმავლობაში ბანკის ფინანსური ჩართულობის ინიციატივებით მოსარგებლე პირების რაოდენობა. | | |
| S.108 | | ფინანსურ მომსახურებაზე წვდომა ნაკლებად უზრუნველყოფილ რეგიონებში | % | მიუთითეთ მომსახურების ფიზიკური წერტილების (მაგ. ფილიალების) პროცენტული წილი, რომლებიც მდებარეობს საქართველოს საბანკო მომსახურებით ნაკლებად უზრუნველყოფილ რეგიონებში (მთავარი ურბანული ცენტრების — თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის — გამოკლებით). | 55.56% | |
